საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთი გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

შაბათი, 18 აგვისტო. 2018 წ. №164-165 (8565-8566) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru | ფასი 50 თეთრი.

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყეიღებით და ჭიბებით ბუტთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ვახ. ალ. ...

ვახ. სიბრალულ!

„ქართული მაფიის“ მოქმედების სქემა ესპანეთში ③

ქართველი „დომუშნიკები“ ბინებს ძარცვავენ, სომხები კი მათ ნადავლს ოქროს ზოდებად ადნობენ და ყიდიან

ილა კოქოევი:

ქართველები უნდა დარჩნენ ქართველებად!

③

ზოთა ზოიძე



მეორე ეპისტოლე „კარგ“, მაგრამ „უუფლებო“ პრეზიდენტს გიორგი მარგველაშვილს, რომელიც ბიძინა ⑥ ივანიშვილმაც უნდა წაიკითხოს

სასწაულები გურამ პეტრიაშვილის ცხოვრებაში

„ო, როგორ მიყვარდა გრეტა გარბო“...

⑦

ბუზისა და სპილოს სინდრომი ⑩



① ② ③ ④

④

გია გაბრიჭიძე:

გადადგეს მომავალი პრეზიდენტი!

„აი, ახლა კი ნამდვილად დავილუპეთ!“

რუსი ანალიტიკოსები პუტინის რუსეთის მომავალზე

⑧

100 წლის გაზეთი თქვენს დახმარებას ითხოვს

დემოკრატიულ საქართველოსთან ერთად დაბადებულ, დღეს 100 წლის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“ ფინანსურად უკიდურესად გაუჭირდა. სწორედ ამიტომ ითხოვს გაზეთი მამულიშვილთა უანგარო მხარში დგომას, ხელის გამართვას.

ძვირფასო ბიზნესმენებო, გაზეთის დახმარების მსურველნო, ნებისმიერი ოდენობის თანხა შეგიძლიათ, ჩაურიცხოთ რედაქციას შემდეგ ანგარიშზე: №GE19TB7601536020100009. (შპს „ახალი საუკუნე“).

ანგელა მერკელის ვიზიტი ყოველმხრივ მნიშვნელოვანია

მნიშვნელოვანია, რომ პოლიტიკურის გარდა, ეს ვიზიტი მოიცავს ეკონომიკურ კომპონენტსაც, ქალბატონ მერკელს ჩამოჰყვებიან ბიზნესწრეების წარმომადგენლებიც, რომელთან ერთადაც მრგვალი მაგიდის ფორმატში გვექნება საუბარი, — ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ გერმანიის კანცლერის, ანგელა მერკელის საქართველოში დაგეგმილ ვიზიტთან დაკავშირებით განაცხადა.

მისი თქმით, წამყვანი ევროპული ქვეყნის უმაღლესი რანგის თანამდებობის პირის სტუმრობა კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ საქართველო ევროპისთვის ნამდვილად არის სანდო და საიმედო პარტნიორი.

◎ ასეთი აზრიც არის!

იმიგრაციის საშიშროება სასიკვდილოა!

რამდენადაც ვიცით, აგვისტოში საქართველოში ვიზიტით გერმანიის ბუნდეს კანცლერი ანგელა მერკელი ჩამოდის. პატარა საქართველოსთვის ეს სტუმრობა დიდი პატივია.

საქართველოს ტერიტორიის 20%-ზე მეტი დღეს ოკუპირებულია საქართველოს დაუძინებელი მტრის - რუსეთის მიერ. გენოციდისა და ეთნოწმენდის შედეგად დღეს საქართველოს ხალხს ჰყავს 286 000 დევნილი. უკიდურესი ეკონომიკური გაჭირვებისა და ხელისუფლების არასწორი დამოკიდებულების გამო საქართველოში დღეს ხდება დიდმასშტაბიანი შემოსახლება ირანიდან, სირიიდან, თურქეთიდან და აზიის სხვა ქვეყნებიდან. ამიტომ ჩვენ ძალიან ვშიშობთ, რომ თუ ბუნდესკანცლერის პროგრამა ამ პუნქტსაც შეიცავს, მის ამ წინადადებას შეიძლება დაეთანხმოს საქართველოს ხელისუფლება.

მკითხველს შევახსენებთ, რომ 1918 წელს ევროპის დიდ სახელმწიფოებს შორის გერმანია იყო ერთადერთი, რომელიც სრული გულწრფელობით რჩევითა და საქმით იცავდა საქართველოს დამოუკიდებლობის კურსს. გერმანიის ეს ღვაწლი ჩვენი ისტორიული მეხსიერების ერთ-ერთი ნათელი შტრიხია.

ქართველ ხალხს მოვუწოდებთ სიფხიზლისკენ ამ ახალი მოსალოდნელი საშიშროების წინაშე.

ნოდარ ნათაძე, პაატა კოლუაშვილი

17 აგვისტო, 2018 წ.

ერთადერთი გზავნილი - მშვიდობა!

ასე გამოეხმაურა საქართველოს პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძე ოკუპირებული აფხაზეთის ყოფილი ე.წ. პრემიერის სერგეი შამბას მიერ გამოცემა „ეხო მასკვისთან“ გაკეთებულ განცხადებას, სადაც შამბა ამბობს, რომ საქართველოსთან დიალოგის დაწყების დროა.

ბახტაძის თქმით, ერთადერთი უალტერნატივო შეთავაზება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ჩვენი მოქალაქეებისთვის არის ევროპული ტიპის სახელმწიფოს ჩამოყალიბება.

„ჩვენი პოლიტიკის ერთადერთი გზავნილი გახლავთ მშვიდობა. აქვე ჩვენ არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ ერთადერთი უალტერნატივო შეთავაზება ჩვენი მოქალაქეებისთვის, რომლებიც ცხოვრობენ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე, გახლავთ ევროპული ტიპის სახელმწიფოს ჩამოყალიბება, სადაც დაცულია ყველა პიროვნების ინტერესი და ღირსება, სადაც ყველას აქვს საშუალება, მოახდინოს საკუთარი ნიჭისა და პოტენციალის რეალიზება.

ეს გახლავთ ჩვენი მხრიდან ერთადერთი და უალტერნატივო შეთავაზება ჩვენი მოქალაქეებისთვის, რომლებიც დღეს ცხოვრობენ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე“...

მხოლოდ თანამშრომლობა

ასე გამოეხმაურა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი დავით ზალკალიანი ოკუპირებული აფხაზეთის ყოფილი ე.წ. პრემიერის, სერგეი შამბას მიერ გამოცემა „ეხო მასკვისთან“ გაკეთებულ განცხადებას, სადაც შამბა ამბობს, რომ საქართველოსთან დიალოგის დაწყების დროა.

მისი თქმით, დიალოგს, რა თქმა უნდა, ალტერნატივა არ გააჩნია, მაგრამ ეს დიალოგი არ უნდა იყოს პოლიტიზებული.

„ჩვენი პასუხი ბარიერებსა და ხელოვნურ გამყოფ ხაზებზე არის თანამშრომლობა. თანამშრომლობა ევროპული ინტეგრაციის სიკეთეების გაზიარების კუთხით. საქართველოს მიერ წარდგენილი სამშვიდობო ინიციატივა „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ ითვალისწინებს სწორედ ამ სამშვიდობო ინიციატვების გაზიარებას ოკუპირებული ხაზის მეორე მხარეს მყოფი ჩვენი თანამოქალაქეებისთვის. ვაჭრობის, ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის განვითარების კუთხით, განათლებაზე ხელმისაწვდომობის, ევროპაში თავისუფალი გადაადგილების კუთხით. ჩვენ ვფიქრობთ, ეს არის ძალიან კარგი შესაძლებლობა დიალოგის კუთხით და სწორედ ამ შესაძლებლობას ვთავაზობთ მათ“, — განაცხადა დავით ზალკალიანმა.

ტურისტების რაოდენობის ისტორიული მაქსიმუმი

— ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ გუშინ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა. როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, გასული თვის სტატისტიკა კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ამ მიმართულებით მთავრობას სწორი და ეფექტური სტრატეგია აქვს არჩეული.

„აქვე იმასაც მინდა გავუსვა ხაზი, რომ ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია გავაგრძელოთ დივერსიფიკაცია ამ მიმართულებით. ამ სტატისტიკაში განსაკუთრებით კარგი გახლავთ ის, რომ იზრდება იმ ქვეყნების რაოდენობა, საიდანაც ხდება ტურისტების ჩამოყვანა საქართველოში, მაგრამ ამ მიმართულებით კიდევ უფრო მეტად უნდა გადავდგათ თამამი ნაბიჯები. ამის შესახებ ჩვენ შემოდგომაზე დამატებით ინიციატივებს გაცნობებთ“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

საქართველოში მიწისქვეშა გაზსაცავი აშენდება

პრემიერ-მინისტრ მამუკა ბახტაძის თქმით, აღნიშნულის გამო გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკსა და საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას შორის 150 მილიონი ევროს სასესხო ხელშეკრულება დაიდება.

„ეს მნიშვნელოვანი პროექტი ეხება საქართველოს ენერგოუსაფრთხოების კიდევ უფრო განმტკიცებას. გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკსა და საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას შორის დაიდება 150 მილიონი ევროს სასესხო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ჩვენ ავაშენებთ მიწისქვეშა გაზსაცავის ინფრასტრუქტურას. გაზის საცავის მშენებლობით ქვეყანას გაუჩნდება სტრატეგიული მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული ობიექტი, რომელიც მნიშვნელოვნად გაზრდის ქვეყნის ენერგოუსაფრთხოებას და ჩვენს დამოუკიდებლობას. პროექტი უზრუნველყოფს ქვეყანაში გაზის მიწოდებასა და მოხმარებას შორის არსებული დისბალანსის აღმოფხვრას და ზამთრის პერიოდში პიკური მოხმარების დაკმაყოფილებას. მინდა ყველას შევახსენო, რომ დღეს ტექნიკური თვალსაზრისით ეს წარმოადგენს მნიშვნელოვან გამოწვევას. ეს პროექტი არის მნიშვნელოვანი არა მხოლოდ ენერგოუსაფრთხოების კიდევ უფრო განმტკიცებისთვის, არამედ სტაბილურად ჩვენი მოსახლეობის გაზის უზრუნველყოფისთვის ზამთრის პერიოდში“, — განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

უსაფრთხოების ბალიში ჩვენი ეკონომიკისთვის

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი **გიორგი ქობულია ბოლო დღეებში ლარის კურსის გაუფასურებას საგარეო ფაქტორებს უკავშირებს.**

მინისტრი ამბობს, რომ თუ კი პარტნიორ ქვეყანაში, ვალუტა უფასურდება, ეს ჩვენს ვალუტაზეც ახდენს ზემოქმედებას.

„ერთ-ერთ ძირითადი ბერკეტი კურსის გასამყარებლად არის ეკონომიკის დივერსიფიკაცია და ზოგადად ეკონომიკის გაძლიერება“ ლარის მერყეობა გვაძლევს საშუალებას, შევქმნათ უსაფრთხოების ბალიში ჩვენი ეკონომიკისთვის და ეს აბალანსებს იმ უარყოფით გავლენებს, რომლებიც შესაძლოა, გამოეწვია ლირას დაცემას. ეს მერყეობა ჩვენ გვიცავს“, — აღნიშნა გიორგი ქობულიამ.



716 მილიარდი დოლარი - ამერიკის თავდაცვის ბიუჯეტს!

პენტაგონის თანხები საქართველოსთვის ლეტალური იარაღით დახმარებას ითვალისწინებს

პრეზიდენტმა **დონალდ ტრამპმა თავდაცვის ავტორიზაციის აქტს ხელი მოაწერა. თავდაცვის ბიუჯეტის აქტი არიზონელი სენატორის ჯონ მაკკეინის სახელობისაა. მაკკეინი ამერიკის საერთაშორისო ჩართულობის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მხარდამჭერი და რუსეთის აქტიური კრიტიკოსია. თავდაცვის აქტი მოქმედი სამხედროების რაოდენობას 15,600-ით, ხოლო სამხედროების ანაზღაურებას 2.6 პროცენტით ზრდის.**

თავდაცვის ავტორიზაციის აქტი საქართველოზეც საუბრობს და თბილისისთვის ლეტალური სამხედრო იარაღით დახმარებას ითვალისწინებს.

„უსაფრთხოების უზრუნველყოფაში საქართველოს გაეწიოს ძლიერი დახმარება, მათ შორის, თავდაცვითი ლეტალური იარაღით დახმარებით, საქართველოს თავდაცვის და მზაობის შესაძლებლობების გასაუმჯობესებლად და ნატოს ძალებთან თანხვედრის გაუმჯობესების მიზნით“, — ნათქვამია დოკუმენტში საქართველოს შესახებ. დოკუმენტი ასევე ხაზს უსვამს

შეერთებული შტატების მიერ ნატოს ღია კარის პოლიტიკის და ალიანსში საქართველოს საბოლოო გაწევრების მხარდაჭერას.

„დადასტურდეს მხარდაჭრა ნატოს ღია კარის პოლიტიკისადმი, რაც საქართველოს ნატოში საბოლოო გაწევრებას მოიცავს“, — ნათქვამია დოკუმენტში.

ამასთან, თავდაცვის აქტი საუბრობს, ნატოს ეგიდით და ორმხრივ ფორმატებში შავ ზღვაში სამხედრო წვრთნების გაზრდაზე და ამბობს, რომ შესწავლილი უნდა იქნეს **„ნატოს და სხვა ორმხრივი წვრთნების პერიოდულობის, მასშტაბის და ფარგლების გაზრდა შავ ზღვაში უკრაინის და საქართველოს მონაწილეობით“.**

ეროვნული თავდაცვის ავტორიზაციის აქტის ხელმოწერისას პრეზიდენტმა ტრამპმა განაცხადა, რომ აღნიშნული აქტი ამერიკის შეიარაღებულ ძალებს კიდევ უფრო გააძლიერებს.

„ამერიკა მშვიდობიანი ქვეყანაა. თუმცა, თუ ჩვენ კონფლიქტში ჩაგვითრევენ, ჩვენ ვიბრძოლებთ და გავიმარჯვებთ“, — აღნიშნა მან.

პრეზიდენტმა ცერემონიაზე სენატორი ჯონ მაკკეინი, რომელიც მისი ერთ-ერთი აქტიური კრიტიკოსია, არ ახსენა, მიუხედავად იმისა, რომ აქტი მაკკეინის სახელს ატარებს.

სენატორი ჯონ მაკკეინი ამერიკის პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატი, ვიეტნამის ომის გმირი და სენატის შეიარაღებული ძალების კომიტეტის თავმჯდომარეა. ის იმ პრინციპების ერთ-ერთი მთავარი მხარდამჭერია, რომელსაც აქტი ითვალისწინებს. მას ცოტა ხნის წინ ტვინის კიბო დაუდგინდა, რის შემდეგაც სენატორი არიზონაში მკურნალობას აგრძელებს.

ავტორიზაციის აქტი ამერიკის თავდაცვის ბიუჯეტს 16 მილიარდი დოლარით ზრდის. შედეგად ამერიკის თანამედროვე ისტორიაში, თავდაცვის ბიუჯეტი 2019 წლისთვის ერთ-ერთი ყველაზე დიდი იქნება და ის 716 მილიარდ დოლარს მიაღწევს.

ანი ჩხიკვაძე

◎ გულისთქმა მეგობრისა

ისა კოძოევი:

ქართველები უნდა დარჩნენ ქართველებად!

ინგუშების ეროვნული ლიდერი, ცნობილი მწერალი ისა კოძოევი (კოაძოი) ქართველებს მიმართავს

„მე არ მინდა, რომ ქართველები ჰგავდნენ ევროპელებს! ვისურვებდი, რომ ქართველები ჰგავდნენ ქართველებს! დიდი ხანია, მე ეს გულში ლურსმანივით მჩხვლეტავს! მე არ მინდა, რომ ქართველები გაევროპელდნენ, ქართველები უნდა იყვნენ ქართველები! ჩვენ სხვა რასა ვართ, ჩვენ კავკასიელები ვართ, ჩვენ ჩვენი განსაკუთრებული მენტალიტეტი გვაქვს. ქართველო კაცებო და ქალებო, ჩვენ უნდა ვიყოთ შესაბამისად შემოსილნი, სიმპათიურნი, სალმიანი, სტუმართმოყვარენი და მამაცნი. როგორ შეიძლება ჩვენ უერთმანეთოდ ვიცხოვროთ? ეს იგივეა, რაც ძმის დაკარგვა, დამარხე ძმა და აღარ გყავს. დადიხარ მის ცარიელ სახლში და ბალახი იზრდება, სადღაც ღობეზე კატა კნავის. ცოტა ხნის წინათ კახეთში ვიყავი, დავიარე სოფლები და ქუჩების გასწვრივ მიტოვებული ცარიელი ფანჯრები მიყურებდნენ. ვიკითხე, რა ხდება-მეთქი? — მითხრეს, რომ ხალხი საკუთარ სახლებს ტოვებს და ევროპაში მიდისო. ჩემთვის ეს ძალიან ძნელი სანახავი იყო, მთელი ღამე ვფიქრობდი და ძილი არ მეკარებოდა. ახლა ყველა ქართველს უნდა ვთხოვო: ღვთის გულისთვის, ნუ წახვალთ, არ არის ბედნიერება უცხო მიწაზე! ორი მონათესავე ერის, ქართველებისა და ინგუშების კულტურა ძალიან ჰგავს ერთმანეთს, იმდენად, რომ ქართველების დახმარებით ინგუშური კულტურის დაკარგული ელემენტების აღდგენა შეიძლება! თქვენი საგუნდო სიმღერები, საერთოდ თქვენი სიმღერები, მუსიკა ისეთია, როგორიც ჩვენი, თქვენი კულტურაც, ხელოვნებაც და ტრადიციებიც. ჩვენ თქვენგან უნდა გავიხსენოთ, აღვიდგინოთ ის, რაც დავკარგეთ, რაც დაგვაკარგვინეს და ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ჩვენი სულით თქვენ სულთან მოვდივართ და გეუბნებით, რომ დაგვეხმაროთ აი, ასეთ დროს. თქვენიდან ავიღებთ იმას, რაც ჩვენთან გაქრა, თქვენ შემოგხედავთ და მოგბაძავთ, ამიტომ თქვენ ძალიან კარგები უნდა იყოთ.

კავკასიაში ყველაზე ახლო ხალხები ჩვენ ვართ, ქართველები და ინგუშები! ჩვენ ერთნაირად გამოვიყურებით, ჩვენ ერთნაირი ტრადიციები გვაქვს, ერთნაირი თვისებები, ერთნაირი მენტალიტეტი და ჩვენ ძარღვებში ერთი და იგივე სისხლი ჩქეფს, ალბათ ღმერთმა, როცა ჩვენ გვქმნიდა, იცოდა, რასაც აკეთებდა, ამიტომ ჩვენ ეს არ უნდა გადავაკეთოთ! აი, რისი თქმა მინდოდა ქართველებო“.

http://www.mediacity.ge

◎ გვილოცავენ!

სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს!

ჩემო ძვირფასო თანამოკალმენო, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის მუშაკებო, შტატიანო თუ უშტატო თანამშრომლებო!

რასაკვირველია, სულითა და გულით გილოცავთ გაზეთის საუკუნოვან იუბილეს! 100 წელი ცოტაცაა და ბევრიც, თქვენი (ჩვენი) გაზეთი ახალგაზრდაც არის და ბებერიც. უფრო კი ახალგაზრდა, იმიტომ რომ ამ წლების განმავლობაში, ბრძოლაში თუ შრომაში, დროის მღელვარებებში თუ „წყნარ დინებებში“ ახალგაზრდულად და ვაჟკაცურად მოიკვლევდით გზას, მართალ და მებრძოლ ჟურნალისტურ სიტყვას პირუთვნელად აწვდიდით მკითხველს. ამიტომაც გაძელით ამდენ ხანს, ამიტომაც შეგინარჩუნათ მკითხველმა და სამშობლომ.

მიზეზთა და მიზეზთა გამო მოლოცვა დამიგვიანდა, არადა, უმადურობასავით არაფერი მეჯავრება. სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს!

აბა, როგორ არ მოგილოცოთ, როცა სადღაც პროვინციაში ჩაკარგული ჟურნალისტი თქვენ გამხადეთ, ასე თუ ისე, „ცნობადი“ რესპუბლიკის მასშტაბით. ყოველ შემთხვევაში, გაზეთის მკითხველებს შორის მაინც, რომლებიც არცთუ ისე მცირერიცხოვანნი არიან. თუმცა ბეჭდურ პრესას (ასევე წიგნებს) მაინც უჭირს მკითხველი. ამ მხრივ, სამწუხაროდ, იდეურ-ზნეობრივად გაუკუღმართებულმა, მატყუარა ტელევიზიებმა და ინტერნეტ-სივრცეებმა „გადაგვიჯოკრეს“, რომლებიც ასევე ადვილად აუკუღმართებენ ერის სულსა და გონებას.

მაგრამ თქვენ (სხვა წამყვან რესპუბლიკურ გაზეთებთან ერთად) მოგვიწოდებთ, რომ ამ უმსგავსობას ვებრძოლოთ და ამ ბრძოლაში არ დავყაროთ ფარ-ხმალი. **გამოწვევა მიღებულია!**

უცნაური რამ დამემართა: თქვენს გაზეთში დაბეჭდილ ჩემს გვარსა და სახელს სულ სხვა თვალით შევხედე, სიცოცხლისა და ცხოვრების ხალისი მომემატა, იმ რეგალიასაც ახლა უფრო ვაფასებ, ჩემს გვარ-სახელს ქვეშ რომ უწერია. ადრე კი ამას მნიშვნელობას არ ვანიჭებდი. დარწმუნებული ვარ, უამრავ ჩემნაირს ამოუდექით მხარში და გაუხალისეთ ცხოვრება...

გმადლობთ ,რომ ჩემი მოქალაქეობრივი თუ ჟურნალისტური ტკივილების გამომზეურების საშუალება მომეცით რესპუბლიკური მასშტაბით! (ამ მხრივ „ყამირი“ გაზეთმა „საქართველო და მსოფლიომ“ გატეხა, რაზედაც დიდ მადლობას ვუხდი რედაქციას, ამავე დროს ცრემლმორეული ვუსამძიმრებ ირაკლი თოდუას გარდაცვალების გამო. თქვენ კი ჩემი თანაკურსელის რუსლან რუსიას თბილი მოგონებებისთვის გიხდით მადლობას!)

შარშან და წელს 7 წერილი დამიბეჭდეთ. თანაც, დამიბეჭდეთ თვალსაჩინოდ, გამომწვევად, ლამაზად.

სულ თქვენს ფინანსურ შეჭირვებაზე ვფიქრობ, მაგრამ ვერაფრით გეხმარებით (ამის შესახებ წერილიც ხომ დამიბეჭდეთ: „ვაი ასეთ ჟურნალისტობას!“). მოგიკვდეთ ჩემი თავი! მეც თქვენს დღეში ვარ, ჩემი ხელფასი (240 ლარი) და პენსია ლამის სულ წამლებში მიმდის! ამასთან დაკავშირებით მახსენდება ჩემი უახლოესი მეგობრის, უკეთილშობილესი ადამიანისა და პოეტის თემურ ჩალაბაშვილის სტროფი:

„მტანჯავს, არ მასვენებს კითხვა,
ღმერთთან ერთი რამ მაქვს სათხოვარი:
როგორ განვიკითხო, მითხრას,
თავად მათხოვარმა მათხოვარი.“

მიუხედავად გაჭირვებისა (იმისა, რომ სპონსორებიც ძალიან ცოტა გყავთ, ჯერჯერობით), **მწამს, რომ გაზეთს არ დახურავთ, გაჭირვებასთან და უმსგავსობასთან ბრძოლაში გაიმარჯვებთ!**

სხვათა შორის, მოსწონთ ჩემი წერილები. მრავალ გამოხმაურებას ვღებულობ. ამასაც ბევრი მეკითხება: რაიმე პრემიას არ გაძლევენ? ვინ უნდა მომცეს? ვინ უნდა წარმადგინოს? ნეტავ ვინმე რამეს მომცემდეს, უკლებლივ მთლიან თანხას თქვენ გადმოგირიცხავდით ჩემი უანგაროდ დაბეჭდილი წერილების სანაცვლოდ, თავისთავად სპონსორობაც გამომივიდოდა!

საუკუნოვანო იუბილარო! კვლავაც დიდხანს იმზისგულე და იმრავალჟამიერე!

უშანგი ჯანგირაშვილი.
ქ.ბორჯომი

P. S. ასევე გულწრფელად გილოცავთ და მადლობას გიძღვნით ჩვენი გაზეთის („ბორჯომის“) რედაქტორი ვალერიან ლომიძე.

ესპანეთში ქართველი „კრიმინალური ავტორიტეტების“ დაკავებისა და ევროპაში მოქმედი „ქართული მაფიის“ შესახებ გავლენიანი გერმანული მედიასაშუალება „Deutsche Welle“ სტატიას აქვეყნებს.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გვთავაზობს ვიქტორ ჩერეცკის ავტორობით სტატიის ქართულენოვან ვერსიას.

„ქართული მაფიის“ მოქმედების სქემა ესპანეთში

ქართველი „დომუშნიკები“ ბინებს ძარცვავენ, სომხები კი მათ ნადავლს ოქროს ზოდებად ადნობენ და ყიდიან

ესპანეთის სპეციალურმა პროკურატურამ ორგანიზებულ დამნაშავეობასთან ბრძოლის საკითხებში ორშაბათს, 13 აგვისტოს, გაავრცელა ინფორმაცია, რომლის თანახმად, დაიწყო გამოძიება „რუსული მაფიის“ სამი სავარაუდო ლიდერის წინააღმდეგ. საქმე ეხება ამ თვის დასაწყისში კურორტ მარბელაზე დაპატიმრებულ ქართული და სომხური წარმოშობის პირებს — ლაშა ბარათელს, ირაკლი ფიფიას და არტემ სარქსიანს. ესპანეთის პროკურატურა მათ „კანონიერ ქურდებს“ უწოდებს. როგორც „დოიჩე ველეს“ კორესპონდენტს ამ უწყების წარმომადგენელმა განუცხადა, აღნიშნული პირების დაკავება ესპანეთში „რუსული მაფიის წინააღმდეგ მიმდინარე ბრძოლის საგაში“ ახალ ფურცელს წარმოადგენს.

„ბრძოლის საგას“ კი საფუძველი 1990-იან წლებში ჩაეყარა, როცა ესპანეთში პირველად გამოჩნდნენ ჟოლოსფერ პიჯაკებში გამოწყობილი ოქროსძეწკვიანი ტატუირებული მამაკაცები. ისინი საბჭოური „რკინის ფარდის“ გაქრობის შემდეგ პირენეიზე დაფუძნებას ცდილობდნენ. მართალია, ყოფილ საბჭოეთიდან ჩასულები სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობდნენ, მაგრამ მათ ერთი რამ აერთიანებდათ — ყველა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან იყვნენ. ტრადიციულად, ესპანელები ამ სივრცეს რუსეთს უწოდებენ, ანუ ამით საბჭოურ თუ ეროვნული ტოპონიმიკის ერთგვარ იგნირირებას ახდენენ. ნაწილობრივ ამითაც აიხსნება ის ფაქტი, რომ ესპანეთში „რუსულ მაფიას“ მიაკუთვნებენ არა მხოლოდ იმ ორგანიზებულ დანაშაულებრივ ჯგუფებს, რომელთა შემადგენლობაში წარმოშობით რუსები შედიან, არამედ ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყნის წარმომადგენლებისგან შემდგარ კრიმინალურ დაჯგუფებებსაც.

* * *

„ესპანეთში „რუსული მაფია“ ყველაზე ფართოდ საქართველოდან წამოსულებითაა წარმოდგენილი“, — ამბობს პროკურატურის წარმომადგენელი. მისი ნათქვამით ირკვევა, რომ ქართული მაფიოზური დაჯგუფებები, რომლებიც მთელ ევროპაში მოქმედებენ, „ესპანეთში განსაკუთრებით აქტიურობენ“. მათ მიერაა ჩადენილი ქვეყანაში ბინების ძარცვის თითქმის 60%. ბოლო წლებში ესპანეთში დაპატიმრებული და გასამართლებულია ასზე მეტი ქართველი ბინის ქურდი („დომუშნიკი“). მათი ლიდერი კახაბერ შუშანაშვილი — ევროპაში მოქმედი ქართველი ქურდების „მაყურებელი“ — ბოლო ხანებამდე მადრიდში ცხოვრობდა. ამჟამად იგი საპყრობილეშია — 16 წლით თავისუფლების აღკვეთა აქვს მისჯილი.

რაც შეეხება ბოლო დღეებში დაპატიმრებულ პირებს, პროკურატურის მონაცემების თანახმად, ისინი ესპანეთს „კრიმინალური მოქმედების კოორდინირების“ მიზნით ეწვივნენ. საქმე იმაშია, რომ 2018 წლის ივნისში ესპანელმა წესრიგის დამცველებმა 129 სომეხი დააკავა და შესაბამისად, ქართულ-სომხური დანაშაულებრივი კლანების მიერ აწყობილი „ბიზნესი“ დაანგრია. სქემა ასეთი იყო: ქართველი „დომუშნიკები“ ესპანელების საცხოვრებელ ბინებს ძარცვავდნენ, მათ მიერ ნაქურდალ იუველურ ნაწარმს კი სომხები ოქროს ზოდებად ადნობდნენ და „შავ ბაზარზე“ ყიდდნენ.

* * *

სტატიაში საუბარია აგრეთვე რუსული და ლიეტუვური დანაშაულებრივი ჯგუფების შესახებ: ჩამოთვლილია რუსი „ავტორიტეტების“ — სერგეი ბუტორინის, გენადი და ანდრეი პეტროვების, ალექსანდრე რომანოვის „საქმენი საგმირონი“. რაც შეეხება ლიეტუვიდან, ანუ ევროკავშირის ერთი ქვეყნიდან მეორეში — ესპანეთში ჩასულ მაფიოზებს, ისინი დაკავებულნი იყვნენ ფულის გამოძალვით, ესპანურ ბორდელებში ლიეტუველი გოგონების ჩაყვანით, ავტომობილების გატაცებით და ა.შ.

ესპანეთის პროკურატურის მონაცემებით, ლიეტუველი მაფიოზები განსაკუთრებული ულმობლობით გამოირჩევიან — ისინი აწამებენ როგორც თავიანთ მსხვერპლ ესპანელებს, ასევე ესპანეთში მყოფ თანამემულეებსაც!



გადადგეს მომავალი პრეზიდენტი!

საქართველოს პრეზიდენტი – საქართველოს სახელმწიფოს მეთაური, საქართველოს შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი, ქვეყნის წარმომადგენელი საერთაშორისო ურთიერთობებში. აირჩევა საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით 5 წლის ვადით. საქართველოში პრეზიდენტის თანამდებობა პირველად შემოღებულ იქნა 1991 წელს და დღემდე ქვეყანას 4 პრეზიდენტი ჰყავდა.

შემოდგომაზე საქართველოში ბოლოჯერ ჩატარდება საპრეზიდენტო არჩევნები. არჩევნები, რომელიც გამოავლენს უმაღლესი ლეგიტიმაციის პირს. პირს, რომელიც არჩეული იქნება **საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით** და მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციით პრეზიდენტის უფლებები ძალიან შეზღუდულია, ის ხუთი წლის განმავლობაში მაინც უმაღლესი ლეგიტიმაციის ფიგურაა.

რაც შეეხება წინასაარჩევნო ვითარებას, თამამად ვიტყვი, რომ იმდენად „საინტერესო“ სიტუაციაა, რომელზეც ჩემს ქვეყანაში რომ არ ხდებოდეს, ჯერ კარგა გვარიანად ვიცინებდი, შემდეგ მარილიან „ჩიპსებს“ და ლუდს მოვიმარაგებდი, ტელევიზორთან დავჯდებოდი და საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში, ყოველგვარი მარიხუანას გარეშე, მაგრად ვიკაიფებდი.

...ცხადია „პოლიტიკოსები“ სულმოუთქმელად ელიან პროცესის აქტიურ ფაზაში შესვლას. ელიან, რადგანაც ეძლევათ შანსი, ხალხს საკუთარი არსებობა კიდევ ერთხელ შეახსენონ, სხვადასხვა სატელევიზიო შოუების საშუალებით უთხრან, რომ ვარსებობთ, ჩვენ რომ არ ვიყოთ, რა გეშველებოდათო და ხმა ჩვენს მიერ მითითებულ კანდიდატს მიეცით და ყველაფერი აჟურში გექნებათო.

ეს ყველაფერი ჯერ კიდევ წინ გველოდება. სადღაც სექტემბრის შუა რიცხვებიდან პოლიტიკოსთა აქტივობა ჰიპერბოლის მსგავსად მაღლა წავა, 28 ოქტომბერს პიკს მიაღწევს, 31 ოქტომბრიდან კი ნელნელა დაეშვება და დეკემბრის დასაწყისში საერთოდ გაქრება.

ზუსტად ვერ გეტყვით რამდენი კანდიდატია დარეგისტრირებული და რამდენი აპირებს, მაგრამ დღევანდელი მოცემულობით აქტიური „ბრძოლა“ სამ კანდიდატს შორის გაიმართება.

სალომე ზურაბიშვილი – ე.წ. დამოუკიდებელი კანდიდატი (თუ რატომ „ე.წ.“ ამას ქვემოთ დავწერ).

გრიგოლ ვაშაძე – ე.წ. მრავალპარტიული კანდიდატი.

დავით ბაქრაძე – ე.წ. „ევროპული საქართველო“.

ცხადია, მარათონში შალვა ნათელაშვილიც არის ჩართული, მაგრამ დამერწმუნეთ, რომ მისი არჩევნებში მონაწილეობა იმ გოგონას ჰგავს, რომელიც ყველა მოსახერხებელ ადგილას სელფს იღებს, რათა შემდეგ სოციალურ ქსელში ატვირთოს და კომენტარებს va lamazi xaar, vaaaau sad gadaixade? – დაელოდოს. შედეგი კი ნული.

შემოხაზული ბიულეტენების მხრივ, ანალოგიური შედეგი ექნება „ზურაბ გირჩი ჯაფარიძეს“. ცხადია, რომ მანაც ძალიან კარგად იცის, თავისი „პოლიტიკური ძალის“ რეალური რეიტინგი, რომელიც ორგანიზაცია „ბიბლიური თავისუფლების“ იმ „მღვდელთმთავრების“ რაოდენობას არ აღემატება, რომლებმაც „კურთხევა“ სამხედრო, სავალდებულო სამსახურიდან განთავისუფლებისთვის მიიღეს, მაგრამ წანასაარჩევნო კამპანია სწორედაც რომ ტრიბუნისთვის არის საჭირო. იმ ტრიბუნისთვის, რომელსაც თავისი ავადმყოფური იდეების გადმოსაფრქვევად გამოიყენებს.

არის კიდევ ერთი საკმაოდ საინტერესო კანდიდატი დავით უსუფაშვილი, რომლის წინასაარჩევნო კამპანია ჯერ არ დაწყებულა და თუ სწორად წარმართავს, თავისუფლად შეუძლია პირველ სამეულში შესვლაზე საკმაოდ მკაფიო განაცხადი გააკეთოს და კიდევ ერთხელ ვიტყვი – კამპანიის სწორად წარმართვის შემთხვევაში თავისუფლად აჯობოს როგორც ნაცებს, ასევე ევრონაცებსაც.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ირაკლი კობახიძის განცხადებით, პარტია „ქართულ ოცნებას“ საპრეზიდენტო კანდიდატი არ ეყოლება. **მმართველმა პარტიამ შესაძლოა, მხარი დაუჭიროს დამოუკიდებელ, უპარტიო კანდიდატს. ამასთან, „ოცნების“ პოზიცია მოგვიანებით გახდება ცნობილი.**

სალომე ზურაბიშვილის კანდიდატურა, თუ ის მართლა „ოცნების“ ფავორიტი გახდება, სრულიად დაკარგავს „დამოუკიდებლობის“ და მმართველი ძალის მხრიდან არჩევნებისთვის დემოკრატიული ელფერის შესაძლებლობას.

სალომე ზურაბიშვილს აქვს ერთი საკმაოდ მნიშვნელოვანი პლუსი, მისი გაპრეზიდენტების შემთხვევაში კოჰაბიტაცია ნამდვილად დასრულდება და პრეზიდენტის ტრიბუნა გახდება საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილის ტრიბუნა...

რაც შეეხება კანდიდატის დასავლურ ურთიერთობებს: შევარდნაძე, რომელსაც ზურაბიშვილზე გაცილებით მეტი და მჭიდრო ურთიერთობები ჰქონდა დასავლეთის მაშინდელ ლიდერებთან, ფაქტობრივად, ვერაფერს აკეთებდა რუსეთის აგრესიისგან ქვეყნის დასაცავად, ხოლო ის მითი, რომ თითქოს სალომე ზურაბიშვილმა თავისი მინისტრობის დროს რუსეთს ჯარები გააყვანინა, მაშინვე იმსხვრევა, თუ გავიხსენებთ 1999 წლის სტამბოლის სამიტს, სადაც შევარდნაძემ, ელცინმა, კლინტონმა და დემირელმა ხელი მოაწერეს მემორანდუმს, რომლის მიხედვითაც რუსული ჯარები 2005 წლამდე ეტაპობრივად უნდა გასულიყვნენ.

სხვათა შორის, ზემოთ გამოთქმული მოსაზრებები სხვა კანდიდატებსაც ეხებათ და განსაკუთრებით გრიგოლ ვაშაძეს, რომლის მხარდამჭერი „რუსთავი-2“ პროვოკაციებისგან თავისუფალი კი იქნება, მაგრამ იმ ათი პარტიული „ლიდერისა“ და „მათი ელიტისთვის“, რომლებსაც „ნამცხვრიდან კარგი ნაჭერი“ კი არა, „ბუს კვერცხებიც“ არ შეხვდებათ, მაქსიმუმ ნინო ანანიაშვილთან ერთად გადაიღონ ფოტოები და „ზალაში“ დაჰკიდონ. სააკაშვილიც არ არის იმის ჩიტი, რომ 10 პარტიას, რომლებსაც სულ 8 წევრი ჰყავთ, ფული უხადოს.

ასე რომ, თუ რეალურად შევხედავთ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქალბატონი სალომე არც თუ ისე სახარბიელო მდგომარეობაშია.

მეორე მხრივ, სალომე ზურაბიშვილის კანდიდატურა ძალიან მისაღები უნდა იყოს იმ ძალისთვის, რომლის მთავარ პრიორიტეტს არა ამბიციები და „ნამცხვრის ნაჭერი“, არამედ საპრეზიდენტო ტრიბუნის სახელმწიფოსთვის სასარგებლოდ, ჯანსაღად და მაქსიმალურად გამოყენება წარმოადგენს.

ასევე მისაღები უნდა იყოს ევრონაცებისთვის, რადგანაც მათ მეორე ტურში გადასვლისთვის და ქვეყანაში მეორე პოლიტიკურ ძალად დარჩენის შანსები უძლიერდებათ. უძლიერდებათ თუნდაც იმის გამო, რომ „ოცნებაში“ საკმაოდ სერიოზული გავლენების მქონე „პოლიტიკოსები“, რომლებიც თავიანთი მენტალობით უფრო არასამთავრობო სექტორის და არა ხელისუფლების წარმომადგენლებს ჰგვანან, ფარულ მხარდაჭერას აუცილებლად გამოუცხადებენ.

ბოკერიებს მიHუისტებთან მიმართებაში საკმაოდ დიდი უპირატესობა გააჩნიათ. პირველ რიგში დასავლეთის მხარდაჭერა, რომელიც ნაცებმა თავიანთი ლიდერის არაადეკვატური და „ქორების პარტიის“ ტიპის განცხადებებით, ფაქტობრივად, დაკარგეს. ნაცმომხრეებში კი „ინტელექტუალებად“ მოიაზრებიან, რადგანაც მელიასა და ბოკერიას შედარება, სასწორის პინას ბოკერიას მხარეს სწევს. ვერც უგულავას შეადარებ ზალიკო უდუმაშვილს.

ნაცების აგრესიული შინაგანი ბუნება, ვაშაძის მიერ ბოკერია-ბარამიძის პაქტის დარღვევაშიც გამოჩნდა. ის პირდაპირ დაესხა თავს ბოკერვილებს (რაც ცუდი ნამდვილად არ არის), მაგრამ ნაცმომხრეთა იმ ნაწილისთვის, ვისაც ჯერ არ გადაუწყვეტია მიHას მხარეს დადგეს, თუ „გაევროპელდეს“, საკმაოდ სერიოზული არგუმენტი იქნება.

ფაქტობრივად, საარჩევნო ველი თავისუფალია. თავისუფალია, რადგანაც მმართველ ძალაში გაორებული სიტუაციაა.

აი, ამით უნდა ისარგებლოს ნორმალურმა, პატრიოტულმა ძალამ და რეალური კანდიდატი დააყენოს, ან ყველაზე ცუდ შემთხვევაში ოფიციალურად გამოაცხადოს თავისი დამოკიდებულება არჩევნებში მონაწილე კანდიდატების მიმართ. უნდა გამოკვეთოს თავისი პოზიცია, თუნდაც იმ მიზეზის გამო, რომ 29 ოქტომბერს გაცხადებული პოლიტიკური სუბიექტი მართლა არ გახდეს მეორე პოლიტიკური ძალა.

შეიძლება, მკითხოთ – რას გადაეკიდე ამ ე.წ. „მეორე პოლიტიკურ ძალას, აქ ხომ მთავარი პირველი ადგილია“. ჩემი აზრით, მეორე პოლიტიკურ ძალას გაცილებით მეტი უფლებები და თავისუფლება გაჩნია, ვიდრე გამარჯვებულს. ის გამოდის ოპოზიციის მთავარი „შეღავათიდან“, გააკრიტიკოს ნებისმიერი შეუსრულებელი დაპირება.

თამამად შეუძლია, დაამუნათოს ქართველი ამომრჩეველი – აი, ჩემთვის რომ მოგეცა ხმა, მაშინ ყველაფერი სხვაგვარად იქნებოდაო.

არადა, იმ „პოლიტიკური ძალის“ კანდიდატს, რომელიც პრეტენზიას გამოთქვამს მთავარ ოპოზიციონერობაზე, ან საქართველოს კონსტიტუცია არა აქვს წაკითხული, ან ურცხვად გვატყუებს.

ბოკერვილების კანდიდატი დავით ბაქრაძე, არჩევის შემთხვევაში მოსახლეობას პენსიების გაზრდას ჰპირდება. როგორ გგონიათ, ბატონო დავით – ბნელა?

ყველამ კარგად იცის, რომ პრეზიდენტს არამც თუ პენსიების მომატება, არამედ თავისი პირადი მძღოლისთვის ხელფასის მომატებაც არ შეუძლია!

არადა, ამომრჩეველი, რომლის ქტივობაც ყველაზე მაღალი საპარლამენტო არჩევნების დროსაა (47%) და ყველაზე დაბალი პრეზიდენტის არჩევნებზე (32%), სამწუხაროდ, თავის თავს არ უსვამს მთავარ შეკითხვებს. შეკითხვებს, რომელიც სოციალურ ქსელში დაიდო:

გულზე ხელი დაიდეთ და საკუთარ თავს ჰკითხეთ:

1. საქართველო რომ ნორმალური ქვეყანა იყოს, მისცემდით თუ არა ხმას დასახელებულ კანდიდატებს?

2. ვისი ბრალია, რომ საქართველო ნორმალური ქვეყანა არ არის? იქნებ თქვენი?

მე ნუ მეტყვით, არც აქ დაწეროთ. უბრალოდ, საკუთარ თავს ჰკითხეთ...

სამწუხაროდ, ჩვენ არ ვუსვამთ საკუთარ თავს ამ შეკითხვებს და მზად ვართ, დავაბრალოთ ყველას, პუტინს, ბიძინას, მიშას, ქუმსიშვილს, იმ მარშრუტის მძღოლს, კონდიციონერს რომ არ რთავს, ბასიანს, კესარიას, სტალინს, ერეკლე მეორეს, სოროსს და რა ვიცი კიდევ ვის, ოღონდ საკუთარ თავს არა!

სწორედ ამიტომ ამ წერილს დავამთავრებ ლოზუნგით, რომელიც ამ რამდენიმე თვის წინათ „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებიდან ვისროლე:

გადადგეს მომავალი პრეზიდენტი!

გია გაბრიჭიძე

SIC! აქაოდა, ფული ჩვენს ხელშიაო...

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ფინანსური აუდიტის ანგარიშის მიხედვით, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა, 2017 წელს 2 189 797 ლარის პრემია გასცა, რაც პრემიებისთვის განკუთვნილ ბიუჯეტს 569 797 ლარით აჭარბებს.

უწყების მიერ გამოქვეყნებული ანგარიშის მიხედვით, საგამოძიებო სამსახურს დამტკიცებული ბიუჯეტით 1 620 000 ლარის პრემია უნდა გაეცა.

ასევე ნათქვამია, რომ სტაჟის მიხედვით დანამატი, სამსახურს 1 165 335 ლარი აქვს გაცემული, როცა ბიუჯეტით აღნიშნული თანხა დამტკიცებული არ არის, ისევე, როგორც ხელფასზე დანამატი, რომელიც გასულ წელს სამსახურმა 3 253 349 ლარის ოდენობით შესაბამისი დასაბუთების გარეშე გასცა.

„2017 წელს მოქმედი რედაქციით, ფინანსთა მინისტრის №780 ბრძანებით არ მოითხოვებოდა ხელფასზე დანამატის გაცემის დასაბუთება. შესაბამისად, 2017 წელს 3 253 349 ლარის ოდენობის ხელფასზე დანამატი გაცემულია შესაბამისი დასაბუთების გარეშე. 2017 წელს დანამატების გაცემის არსებული პრაქტიკა ვერ უზრუნველყოფდა შრომის ანაზღაურების სათანადო გამჭვირვალობას, ვინაიდან ბრძანებებში არ იყო სათანადოდ დასაბუთებული დანამატის გაცემის მიზანშეწონილობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2017 წელს, ფინანსთა მინისტრის №780 ბრძანება ვერ უზრუნველყოფდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონით განსაზღვრული ანაზღაურების ფორმის ანალოგიური პრაქტიკის დამკვიდრებას, როდესაც დანამატი გაიცემა მოსამსახურის მიერ ზეგანაკვეთური მუშაობისა და განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვის დასაბუთების შემთხვევაში. თუმცა აღსანიშნავია, რომ 2018 წლის 8 თებერვალს №780 ბრძანებაში შესული ცვლილებით, აღნიშნული ხარვეზი აღმოიფხვრა და განისაზღვრა დანამატის გაცემის კრიტერიუმები და გასაცემი თანხის ზედა ზღვარი“, - ნათქვამია ანგარიშში.

აუდიტის სამსახური განმარტავს, რომ საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, დანამატის კატეგორია მოიცავს არასამუშაო საათებში, ღამის ცვლაში, სადღესასწაულო და დასვენების დღეებში მუშაობისათვის განკუთვნილ დამატებით საზღაურს და კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნებისმიერ სხვა დანამატს, მათ შორის, განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვის საზღაურს.

დამშრალი და ლამის ტყედ ქცეული „ლაგუნა-ვერეს“ ბედი

აუზში წყალს ვერც მფლობელი ასხამს და ვერც კახა კალაძე

უკვე მეხუთე წელია რაც, თბილისელების ერთ-ერთი საყვარელი თავშეყრის ადგილი „ლაგუნა-ვერე“ აღარ ფუნქციონირებს. უმსხვილესი სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი განადგურებულია: კედლები დაბზარულია, აუზში მცენარეებია გაზრდილი, ინფრასტრუქტურა კი მწყობრიდანაა გამოსული. ამ ადგილას თითქოს დრო გაყინულია და დედაქალაქი ისევ 90- იანი წლებში ცხოვრობს. აუზს ისეთი იერსახე აქვს, როგორიც ომგამოვლილ თბილისში შენობების უმეტესობას ჰქონდა.

თბილისის ცენტრში არსებული მიტოვებული სპორტული კომპლექსი დედაქალაქის მერიისთვისაც რომ არ არის მისაღები, ეს კახი კალაძის საარჩევნო კლიპშიც ჩანდა, როდესაც მის ოფიციალურ Facebook გვერდზე ვიდეო გამოქვეყნდა. კლიპში გმირთა მოედანზე სატრანსპორტო მოძრაობის გაუმჯობესების კონცეფცია იყო წარმოდგენილი. ვიდეოში ჩანს, რომ დამშრალ და დაჭაობებულ „ლაგუნა-ვერეს“ საცურაო აუზში წყალი ასხია. კალაძის მერობიდან უკვე 10 თვე გავიდა, თუმცა, არც „ლაგუნა-ვერეს“ აუზი ავსებულა წყლით და დედაქალაქში არც სატრანსპორტო მოძრაობა გაუმჯობესებულა. დიდი ალბათობით დედაქალაქის მერი პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარესთან უთანხმოებას ერიდება, რადგან „ლაგუნა-ვერე“ ბიძინა ივანიშვილისა და ფონდ „ქართუს“, ასევე სააქციო საზოგადოება „ქართუ ჯგუფის“ სახელს უკავშირდება. სტუდია მონიტორის ჟურნალისტურ გამოძიებაში ვკითხულობთ, რომ „ლაგუნა-ვერეს“ 99%-ს სააქციო საზოგადოება „იუნიონი“ ფლობს, რომლის დირექტორიც როინ მოცრაძეა. „ლაგუნა-ვერეს“ აღმასრულებელი დირექტორია დავით ჩხეტიანი, რომელიც კომპლექსს 2014 წლის თებერვლიდან ხელმძღვანელობს. ეს პირები ერთი მხრივ „ლაგუნა-ვერეს“ მართავენ, მეორეს მხრივ „ქართუ ჯგუფთან“ და ფონდ „ქართუსთან“ არიან დაკავშირებულნი.

„კომერსანტი“ შეეცადა, გაერკვია თუ როდის იგეგმება „ლაგუნა-ვერეს“ რეაბილიტაცია, თუმცა ვერც დავით ჩხეტიანთან და ვერც ფონდ „ქართუსთან“ დაკავშირება ვერ შევძელით. მათ „კომერსანტის“ სატელეფონო ზარს და შეტყობინებას არ უპასუხეს.

სამეწარმეო რეესტრის 2017 წლის 21 დეკემბრის ამონაწერის მიხედვით კი ირკვევა, რომ „ლაგუნა-ვერეს“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე გიორგი ჯანელიძეა; ხოლო საბჭოს წევრები — გიორგი ქსოვრელი, გელა კობერიძე. აღმასრულებელი დირექტორის პოსტი დავით ჩხეტიანს, ხოლო დირექტორის ვლადიმერ გოიაშვილს ეკუთვნის.

„ლაგუნა-ვერეს“ დახურვის მიზეზად 2013 წლის დეკემბერში არა მომგებიანობა და გაუმართავი ინფრასტრუქტურა დასახელდა. შედეგად დაახლოებით 8000 იქ მოვარჯიშე ადამიანი და ასზე მეტი თანამშრომელი გარეთ დარჩა. კომპანიაში მაშინ აცხადებდნენ, რომ კომპლექსს მუშაობა, საუკეთესო შემთხვევაში 2015 წლის სეზონიდან უნდა განეახლებინა. მიუხედავად ამისა 40 წლის ისტორიული სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი სტუმრების მიღებას ამ დრომდე ვერ ახერხებს. გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენ ქვეყანაში ციფრებს განსაკუთრებულ მნიშვნელობებს აქცევენ, იმედია დაარსებიდან 41-ე წელს „ლაგუნა-ვერე“ რეაბილიტირებული და სიცოცხლით სავსე გახდება.

ბაჩო ადამია

წელს დასავლეთ საქართველოში თხილისა და სიმინდის უკეთესი მოსავალია

ფერმერებმა, რომლებმაც აზიური ფაროსანას წინააღმდეგ გატარებული ღონისძიებების პარალელურად, სოკოვანი და ბაქტერიული დაავადებების საწინააღმდეგო სამუშაოები განახორციელეს, კარგი მოსავალი აქვთ.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე გიორგი ხანიშვილი აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის ღონისძიებების მიმდინარეობას და არსებულ ვითარებას დასავლეთ საქართველოში ეცნობა.

მინისტრის მოადგილემ სამეგრელოს რეგიონში, სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსთან ზურაბ ჩეკურაშვილთან, მცენარეთა დაცვის სპეციალისტებთან და საკოორდინაციო შტაბის წევრებთან ერთად, აბაშის მუნიციპალიტეტში თხილის პლანტაციები და საყანე ფართობები დაათვალიერა და ადგილობრივ ფერმერებს შეხვდა.

ე.წ. ანჯელის მასივში, მავნებლის საწინააღმდეგო ღონისძიებები სურსათის ეროვნული სააგენტოს სპეციალიზებული ტექნიკის გამოყენებით მიმდინარეობს და ფართობები ცივი შესხურერებით მუშავდება.

ფერმერებმა შეხვედრაზე აღნიშნეს, რომ წელს მავნებლის მიერ მოსავლის დაზიანება მინიმალურია და შარშანდელთან შედარებით უკეთეს მოსავალს ელოდებიან.

გიორგი ხანიშვილის განცხადებით, სახელმწიფოს მიერ მავნებლის წინააღმდეგ გატარებული ღონისძიებები წარმატებულად მიმდინარეობს და შედეგი თვალსაჩინოა.

რატომ ვართ მდიდარი ღარიბები?!

ოქროს მომპოვებლები: საქართველოს 8 რეგიონში ძვირფას ლითონს 15 კომპანია ეძებს

საქართველოში ოქროს დაცული მარაგები (2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით) 60 923 კილოგრამს შეადგენს. სპილენძის დაცული მარაგების მოცულობა, კი (2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით) 143 385 ტონაა.

აღნიშნული ინფორმაცია „კომერსანტს“ სსიპ წიაღის ეროვნულმა სააგენტომ მიაწოდა.

ოქროს საბადოების კვლევა და ძვირფასი ლითონის მოპოვება საქართველოს 8 რეგიონში ხდება. მოწოდებული ინფორმაციიდან ჩანს, რომ ინვესტორების სამიზნე თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტია. კერძოდ ბოლნისში ოქროს მოპოვებას და ძებნა-ძიების სამუშაოებს სხვადასხვა ლოტზე 6 კომპანია ახორციელებს. მეორე რეგიონია რაჭა, სადაც კეთილშობილ ლითონებს ორი კომპანია ეძებს. აქედან ერთი 4 ლოტზე საქმიანობს.

ბოლნისი

ბოლნისის ჯგუფის საბადოებზე შპს **„არ ემ ჯი გოლდი“** ოქროს მარაგის შესწავლასა და შემდგომ წიაღისეულის მოპოვებაზე ლიცენზიას 2020 წლის 1 იანვრამდე ფლობს, სამუშაოები 9 ჰექტარზე მიმდინარეობს.

შპს **„არემჯი გოლდი“** ბოლნისი დმანისის მუნიციპალიტეტებში კეთილშობილ ლითონებზე შესწავლა-მოპოვებაზე მეორე ლიცენზიასაც ფლობს, რომლის ვადაც 2042 წლამდეა. ძვირფასი ლითონების მოპოვება და საძიებო სამუშაოები 193.76 ჰექტარზე ხდება..

ბოლნისში ოქროს მოპოვებაზე მეორე მსხვილი ლიცენზიანტია „სს **„ჯორჯიან კოპერ ენდ გოლდი“,** რომელიც მარნეულის, დმანისის, წალკის, თეთრი წყაროს ტერიტორიაზე კეთილშობილი ლითონების შესწავლა-მოპოვების ლიცენზიას 86 107 669 ჰექტარზე 2041 წლამდე ფლობს.

„ბექთაქარის“ ოქრო პოლიმეტალური საბადოდან სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებას ბოლნისის მუნიციპალიეტში შპს **„არემჯი აურამაინ“** ახორციელებს, რომელსაც ლიცენზიის ვადა 2041 წელს ეწურება, ფართობი: სამთო — 345 7939 ჰექტარი. მიწა — 309. 849 ჰ ექტარი.

„ბნელხევის ოქრო“ პოლიმეტარული საბადოდან სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ვადა (თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტი) შპს **„ჯორჯიან გოლდ კომპანის“** 2041 წლამდე აქვს, ფართობი — სამთო 239,4021 ჰა; მიწის — 504,6677 ჰა;

ბოლნისი, მარნეული, წალკა თერი წყაროს ტერიტორიაზე ოქროს მოპოვებაზე ლიცენზიას შპს **„კავკასიის სამთო ჯგუფი“** 2041 წლამდე ფლობს. ფართობი: 100 865. 4594 ჰა;

ბოლნისში ასევე ოქროს ეძებს სს **„RMG copper“**-ი . ლიცენზიის ვადა 2041 წელს იწურება. ფართობი — 1035 ჰა.

მესტია

მესტიაში კეთილშობილი ლითონების შესწავლა მოპოვებაზე შპს **„optical systems inc“** ლიცენზია 2021 წლამდე აქვს, ფართობი — 390 კვადრატული მეტრი.

მესტიში, სოფელ სგურიშის მიმდებარედ ოქროს მოპოვებაზე ლიცენზიას 2041 წლამდე შპს **„ჯეო გოლდი“** ფლობს, ფართობი — 557, 45 ჰექტარი.

ლენტეხი

ლენტეხში „ზესხოს“ მადნიანი ველის ტერიტორიაზე ძვირფასი ლითონების მოპოვებაზე შპს **„zeskho mining co.ltd“** ლიცენზიას 2053 წლამდე ფლობს, ძებნა-ძიების სამუშაოები 1 605 85 ჰექტარზე ხდება.

რაჭა

ონში სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვებაზე ლიცენზიას 2042 წლამდე სს **„კავკასიის მინერალები“** ფლობს. საძიებო სამუშაოებისთვის განკუთვნილი ფართი 1778,62 ჰექტარია.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტში სოფელ ურავის მიმდებარედ შპს **„ქართული პერსპექტივა“-ს** ლიცენზიის ვადა 2036 წლამდე აქვს, ფართობი — 321 14 ჰა.

ონის მუნიციპალიტეტში, სოფელ ღების მიმდებარედ შპს **„ქართული პერსპექტივა“** ოქროს მოპოვებაზე ლიცენზიას 2036 წლამდე ფლობს. ფართობი — 46 ,44 ჰექტარი.

ონში, გლოლასა და კურორტ შოვის მიმდებარედ შპს **„ქართული პერსპექტივა“** ოქროს მოპოვებაზე ლიცენზიას 2036 წლამდე ფლობს. ფართობი — 260 ჰექტარი.

ონში, სოფელ გადამიშის მიმდებარედ შპს **„ქართული პერსპეტივა“** ლიცენზიას 2036 წლამდე ფლობს. ფართობი — 70.32 ჰექტარი.

გურია

გურიაში, ჩოხატაურში „აზოტის“ ოქროსშემცველ გოგირდ-კოლჩედანურ გამოვლინებებზე **„ჯორჯიან რესორს“ კომპანია** ლიცენზიას 2051 წლამდე ფლობს. მარაგების შესწავლა 720,25 ჰექტარზე ხდება.

აჭარა

აჭარაში ქედაში, მერისის მადნიან კვანძზე შპს **„kinland Georgia mining“** -ი მადნის მოპოვებაზე ლიცენზიას 2047 წლამდე ფლობს, ოქროს ჯამურმა მოპოვებამ 0,652 ტონა შეადგინა. სამუშაოები 10 040 ჰექტარზე ხდება.

კახეთი

თელავში, „ართანას“ მადანგამოვლინებების შესწავლა -მოპოვებაზე ლიცენზიას 2033 წლამდე შპს **„ჯეომეტალი“** ფლობს, საძიებო სამუშაოები 3,5 ჰექტარზე ხდება.

სამეგრელო

ტეხურას ოქროს, კობალტის, ვერცხლის, ტყვიის, თუთიის შესწავლა-მოპოვებას (მარტვილის მუნიციპალიტეტი) **„შპს საქართველოს სამთო საქმიანობის კომპანია“** ახორციელებს. ლიცენზიანტს ვადა 2033 წლამდე აქვს, ფართობი — 160 28 ჰექტარი.

ნინო ნატროშვილი

მეორე ეპისტოლე „კარგ“, მაგრამ „უუფლებო“ პრეზიდენტს გიორგი მარგველაშვილს, რომელიც ბიძინა ივანიშვილმაც უნდა წაიკითხოს

2018 წლის 16 იანვრის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაიბეჭდა ჩემი ეპისტოლე ბატონ გიორგი მარგველაშვილთან, რომლის საბაბი, მიზეზი ბევრი იყო, გახდა მისი კომენტარები სააკაშვილის სასამართლო განჩინების შესახებ, რითიც დაარღვია კონსტიტუცია. თქვა, რომ განაჩენი პოლიტიკურად მოტივირებულიაო, რისი უფლებაც მას არ ჰქონდა. მე მაშინ ვწერდი, რომ სააკაშვილის რეჟიმის დროს თქვენი პროტესტი არავის სმენია და ძალიან თბილად იყავით მოკალათებული-მეთქი.

ბატონო გიორგი, ჩემი ეპისტოლე დაიბეჭდა 16 იანვარს, ხოლო 17 იანვარს ინტერვიუ მიეცით გიორგი გიგაურს, თქვენს საყვარელ და ხალხის საძულველ „რუსთავი-2-ში“. ისე გაცხარებული იყავით, პირდაპირ ნაპერწკლებს ისროდით, კვლავ ბოკერია-მოკერიას ლექსიკა და ბუნდოვანი სილოგიზმები. არცერთ დასმულ პრობლემაზე არ გიპასუხიათ. დაჟინებით ამბობდით მხოლოდ ერთს, რომ თქვენ კარგი, მაგრამ უუფლებო პრეზიდენტი ხართ და მთავრობა ცუდია. კიდევ კარგი, რადგან რისი უფლებაც გაქვთ, იმასაც ბოროტად იყენებთ. მსმენელმა თქვენი ეგზალტირებული საუბრიდან სხვა ვერაფერი გაიგო.

ვერაფრით წარმოვიდგენდი, რომ საქართველოს დამაქცევარ სააკაშვილს ისტორიის სანაგვეზე გავუშვებდით, ახალი პრეზიდენტი და პარლამენტის სპიკერი უსუფაშვილი კი მის ადვოკატობას დაიწყებდით. ვაი, რომ ეს ასეა. საკითხავია, არაფრის მაქნისი განათლების მინისტრი რა ძალამ გაგაპრეზიდენტათ? ეს ხომ უცხოეთიდან მართული იყო, ეჭვი აღარავის არ ეპარება.

საერთაშორისო სკანდალად იქცა თქვენ მიერ მკვლელებისა და ბანდიტების შეწყალება. ეს საქმე ჩვენში კორუფციის თუ მექრთამეობის ახალი სახეობაა, რადგან შეწყალების კომისიაში ელენე თევდორაძე გახუნებული ნეილონის პალტოთი მივიდა და ბრილიანტებითა და სხვა ძვირფასი თვლებით თითებდამშვენებული წამოვიდა. არ არსებობს საიდუმლო, რომელიც არ გაცხადდება.

ჩემს პირველ ეპისტოლეში გწერდით, რომ პრეზიდენტს ვეღარ გიწოდებთ, რადგან ძალიან შენიღბულად გააუქმეთ რუსთაველის პრემია-მეთქი. გენიოსი პოეტის 850 წლისთავი რომ არ აღნიშნეთ, ესეც თქვენი ანტიეროვნული ტენდენციის გამოვლენა იყო. რუსთაველის საიუბილეო წელს ხიხაძირის სახელოვან საშუალო სკოლას თქვენმა ხელდასხმულმა უსუსურმა განათლების მინისტრმა სანიკიძემ გადაარქვა რუსთაველის სახელი, რისი უფლებაც მას არ ჰქონდა. ეპისტოლეში ხაზგასმით ვწერდი, რომ ბოროტად იყენებთ არა მარტო შეწყალების, არამედ ღვაწლმოსილი ადამიანების სახელმწიფო მედლებითა და ორდენებით დაჯილდოების უფლებასაც. 2 წლის მანძილზე არცერთი ქართველი მოღვაწე არ დაგიჯილდოებიათ. თუ გამონაკლისი დაუშვით, უთუოდ ნაცია. გავიწყდებათ, რომ მარტო ნაცების პრეზიდენტი არა ხართ.

როგორც ჩანს, ჩემმა კრიტიკამ რუსთაველის პრემიის გაუქმების შესახებ, ძალიან შეგაცბუნათ. და აი, 2018 წლის 23 მარტს გამოეცით №104 ბრძანებულება „შოთა რუსთაველის სახელობის, ვაჟა ფშაველას სახელობისა და საქართველოს ეროვნული პრემიების გაცემის მიზნით, კონკურსის წესის“ დამკვიდრების შესახებ. თქვენს ვებგვერდზე წერია, რომ ეს ხდება **5 წლის შესვენების შემდეგ**. რას ნიშნავს „შესვენების“ შემდეგ? ეს შესვენება კი არა, როგორც ჩანს (სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში დაიღალეთ და, ალბათ, ამიტომ გამოაცხადეთ ხუთწლიანი შესვენება), გაუქმება იყო და ჩემმა კრიტიკამ აგიხილათ თვალი.

ჯერ ერთი, ეს წესი კი არა, კონკურსის ჩატარების დებულება უნდა იყოს, რომელიც 2013 წლამდე მოქმედებდა და იმ წელიწადს კონკურსიც ამ დებულებით ჩატარდა და იგი არავის გაუუქმებია. მეორეც, თქვენ მიერ დამტკიცებულ წესში იმდენი აბდაუბდაა, წესის გარდა ყველაფერია, უფრო სწორედ, ნამდვილი უწესობაა.

მე რამდენიმე წელიწადს პრემიების კომიტეტის წევრი ვიყავი და კარგად ვიცნობ ამ სამზარეულოს. თქვენ მიერ დამტკიცებული წესი ახლოსაც ვერ მივა ძველ დებულებასთან. საქართველოს ეროვნული პრემია ვინ მოიგონა? ეს იყო სახელმწიფო პრემია, რომლის ლაურეატი მეც გახლავარ. მე იგი მომენიჭა 1997 წელს „უსანქციო სონეტებისთვის“, ძალიან მძიმე კონკურსის პირობებში. ხოლო რუსთაველის პრემია, ეს იყო უმაღლესიც და ეროვნულიც. ამიტომ „საქართველოს ეროვნული პრემია“ სრული ნონსენსია. უნდა იყოს სახელმწიფო პრემია.

ახლა ერთად წავიკითხოთ, გნებავთ ცალ-ცალკე, თქვენ მიერ დამტკიცებული წესის ის მუხლი, რომელსაც „შოთა რუსთაველის სახელობის (უნდა ჩაემატოს ეროვნული — **შ. ზ.**) პრემიის მინიჭების პირობები“ ჰქვია: „1. შოთა რუსთაველის სახელობის პრემია გაიცემა 3 წელიწადში ერთხელ... პრემია პირს ენიჭება ლიტერატურის, მუსიკის, კინოხელოვნების, თეატრალური ხელოვნების, სახვითი ხელოვნების ან არქიტექტურის (უნდა იყოს სახვითი ხელოვნებისა და არქიტექტურის — **შ. ზ.**) დარგში შექმნილი უმნიშვნელოვანესი ნაწარმოებისათვის, რომლის მხატვრულმა ღირსებებმა საერთო ეროვნული აღიარება მოიპოვა და გამსჭვალულია პატრიოტიზმის, თავისუფლებისა და ჰუმანიზმის ზოგადსაკაცობრიო იდეალებით“.

ამ მუხლით უსაშველოდ გაუფასურებულია რუსთაველის პრემია. არადა, ქართველი კაცისთვის რუსთაველის პრემია უფრო სანუკვარია, ვიდრე ნობელის. რუსთაველთან შედარებით, ნობელი, დავით გურამიშვილის არ იყოს, „ჩალის ძირადაც“ არა ღირს. ნობელის საპრემიო თანხა რომ მაღალია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ნობელი რუსთაველზე დიდია.

აბსურდია ასევე მე-7 მუხლის მე-2 პუნქტი, სადაც ვკითხულობთ: „პრემიის ლაურეატისთვის გადასაცემი სამკერდე ნიშნის აღწერილობას განსაზღვრავს საქართველოს პრეზიდენტი“. პრეზიდენტი კი არ განსაზვრავს, არამედ ამტკიცებს. სამკერდე ნიშანი დიდი ხანია, დამტკიცებულია და გაიცემოდა წლების მანძილზე. აქაც არის გაუფასურების მცდელობა. აქამდე არსებული დებულებით, რუსთაველის პრემიის სამკერდე ნიშანი ოქროსი იყო. ამ პუნქტში ხსენებაც არ არის ოქროსი უნდა იყოს, ბრინჯაოსი თუ ნახშირის. აქ აღარაფერს ვამბობ ვაჟა ფშაველას პრემიის კნინობით ბრუნვაზე (5 ათასი ლარი), რომლის დაარსებაც ბატონი ბიძინას დამსახურებაა და არა თქვენი.

კრიტიკასაც აღარ ექვემდებარება მე-4 მუხლი, რომელშიც ლაპარაკია პრემიის მიმნიჭებელ კომისიაზე. აბსურდის თეატრის მეტს ვერაფერს უწოდებ. ამის შესახებ თავის დროზე „მწერლის გაზეთში“ ძალიან მოკრძალებული შენიშვნები გამოაქვეყნა მწერალთა კავშირის პრესცენტრმა. იგი გულისტკივილით ლაპარაკობს, რომ კომისიაში პრეზიდენტმა არ შეიყვანა არცერთი ჩვენი გამოჩენილი მწერალი და კიდევ უგულებელყოფილია ბათუმისა და ქუთაისის ლიტერატურული ცენტრები. კომისიაში თითო კაცი მაინც უნდა იყოს. ზემოთ ვთქვი, ამ სამზარეულოს კარგად ვიცნობ-მეთქი. რუსთაველის პრემიის კომიტეტში სულ თბილისელების რიგი იდგა და ქუთაისელ და ბათუმელ მოღვაწეს ახლოს არ გაიკარებდნენ. რატომ არ უნდა მიეღო რუსთაველის პრემია საქართველოს სახალხო არტისტს იუსუფ კობალაძეს, რომლის ოიდიპოსმა საერთაშორისო აპელირება მოიპოვა?!

ბატონო გიორგი, ვერ ამაღლდით პრეზიდენტობამდე და სოროსის კარისკაცად დარჩით. კონკურსის გამოცხადება უნდა გასაჯაროვდეს მასმედიაში, პრეზიდენტის ვებგვერდზე გამოქვეყნება არ კმარა. როცა გავიგე, რომ კონკურსი გამოცხადდა და პრემიებიც გაუციათ, კულტურის სამინისტროს ერთ-ერთ პასუხისმგებელ პირს, რომელიც ადრე ამ საქმეს კურატორობდა, ვკითხე ამის შესახებ. გაუკვირდა, არც კონკურსის და არც ახალი ლაურეატების შესახებ არაფერი მსმენიაო. არ სმენია იმიტომ, რომ არ გასაჯაროვდა და, ფაქტობრივად **ფარულად** მოხდა. ჩვენმა ტელეარხებმა ლიბერასტების „საბაობით“ აგვიკლეს, ხოლო რუსთაველის ახალი ლაურეატების შესახებ სიტყვაც არ დაძრულა.

წესით და რიგით, პრესაში უნდა გამოქვეყნებულიყო კონკურსის შესახებ, შემდეგი საფეხურია ნომინანტების დამტკიცება და საყოველთაოდ გასაჯაროება. ორი-სამი თვის მანძილზე უნდა ხდებოდეს ნომინანტი ნაწარმოების განხილვა და ამის შემდეგ ტარდება ფარული კენჭისყრა. იმ შემთხვევაში თუ 5 პრემიაა დაწესებული და 5 განცხადზე მეტი არ შევიდა, ავტორთა წარდგინების ვადა უნდა გაგრძელდეს. სხვა შემთხვევაში კენჭისყრა არ შეიძლება, რადგან უალტერნატივოდ რუსთაველის ეროვნული პრემიის გაცემა დაუშვებელია. როგორც იტყვიან, პრეზიდენტმა თავისი ხალხით შეაკოწიწა კომისია და ყოველგვარი კონკურენციისა და გასაჯაროების გარეშე გაუნაწილა სასურველ პირებს.

ნუთუ არ იცით, რომ რუსთაველის პრემია ქართული მწერლობის მაღალმა დონემ და ავტორიტეტმა დააარსა? კომიტეტის წევრები ძირითადად მწერლები იყვნენ, სხვა დარგის თითო-ოროლა წარმომადგენელი თუ იყო.

თუ 5 პრემია იყო დაწესებული, თქვენს ვებგვერდზე მხოლოდ სამი ახალი ლაურეატია წარმოდგენილი. გთხოვთ, საზოგადოებას განუმარტოთ, იყვნენ თუ არა, სხვა პრეტენდენტები, იქნებ ხმები ვერ მიიღეს. რატომ დაუმალეთ საზოგადოებას მათი ვინაობა? კონკურსში მონაწილეობდნენ თუ არა ქართველი მწერლები?

ლეგიტიმური ეჭვია, რომ მწერლებს კონკურსის შესახებ არაფერი სმენიათ, რადგან იგი გასაიდუმლოებული იყო. ვებგვერდზე გამოქვეყნდაო, იტყვით, მაგრამ 5 წლის მანძილზე ჩვენი გამოჩენილი მწერლები ვებგვერდზე ხომ არ იქნებოდნენ მიჯაჭვული?!

წესით, 2013 წლის შემდეგ, 2016 წელს უნდა გამართულიყო კონკურსი, მაგრამ მსგავსი არაფერი დაიდო ვებგვერდზე. მით უფრო, რომ რუსთაველის წელიწადი იყო. არც ის გასაჯაროვდა, რამდენი წლით აპირებდით **შესვენებას?**

ყოველივე ამ ბნელით მოცული კონკურსის გარდა, თქვენს დამტკიცებულ „წესებში“ კიდევ ერთი სათქვენო **ხვრელი** დაიტოვეთ. აი, რა წერია მე-6 მუხლის მე-9 პუნქტში: „პირის ნაყოფიერი მოღვაწეობისა ან და საყოველთაო აღიარების გათვალისწინებით, საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია პრემიის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილება მიიღოს ამ წესით გათვალისწინებული პროცედურების დაუცველად.“. პროცედურების „დაცვით“ დასცინეთ რუსთაველს და პროცედურების დაუცველად ხომ მოგჭამათ ჭირი.

გულწრფელად ვულოცავ ახალ ლაურეატებს, პატივი და დიდება მათ ნიჭიერებას. თუმცა არა ვარ ბოლომდე დარწმუნებული, რომ პრემირებული ნაწარმოებების მხატვრულმა ღირებულებებმა საერთო ეროვნული აღიარება მოიპოვა. ნუთუ მართლა გჯერათ, რომ საშუალო დონის სპექტაკლის („შობის მეთორმეტე ღამე, ანუ როგორც გენებოთ“) სცენოგრაფია გამსჭვალულია პატრიოტიზმის, თავისუფლებისა და ჰუმანიზმის ზოგადსაკაცობრიო იდეალებით და მოპოვებული აქვს საერთო ეროვნული აღიარება?!

არც იმის ილუზია მაქვს, რომ ამ კითხვებზე პასუხს მივიღებ.

შოთა ზოიძე,



პოეტი, ესეისტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი

ისრაელიდან შემოსული ტურისტების რაოდენობა აჭარაში ყოველწლიურად მზარდია

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე გუშინ ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს შაბთაი ცურს შეხვდა.

შეხვედრაზე საქართველოსა და ისრაელს შორის არსებული ურთიერთობები და რეგიონულ ჭრილში თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავების საკითხები განიხილეს. ხაზი გაესვა ორი ქვეყნის მრავალსაუკუნოვან მეგობრულ ურთიერთობებს, რაც რეგიონულ დონეზე წარმატებული თანამშრომლობითაც გამოიხატება. აღსანიშნავია, რომ ქალაქი ბათუმი 2012 წელს ისრაელის ქალაქ აშდოდს, ხოლო 2018 წელს ქალაქ ნეთანიას დაუმეგობრდა.

შეხვედრაზე თორნიკე რიჟვაძემ აჭარის რეგიონში ზაფხულის სეზონის მიმდინარეობაზეც ისაუბრა. აღნიშნა, რომ ისრაელი აჭარისთვის კვლავ წარმოადგენს ტურისტულად მიმზიდველ სამიზნე ქვეყანას, საიდანაც ტურისტების რაოდენობა რეგიონში ყოველწლიურად იზრდება (ზრდა 56%). ისრაელი რეგიონში შემოსული ტურისტების რაოდენობის მხრივ მეხუთე ადგილზეა.

„ო, როგორ მიყვარდა გრეტა გარბო“...

სასწაულები გურამ პეტრიაშვილის ცხოვრებაში

გავშვოგიდან ბევრს გვახსოვს გურამ პეტრიაშვილის პოეზია და ზღაპრები. მის ტრაგიკულ-სევდიან თავგადასავალს უკრაინაში ცხოვრების პერიოდმაც დაამჩნია კვალი... ამის მიუხედავად, ბატონი გურამი დაუღალავად მუშაობს და ქმნის ზღაპრებსაც და ლექსებსაც. ახლახან მწერალთა სახლმა მის მიერ დაარსებულ „სახალისო“ ჟურნალის პირველ ნომერს უმასპინძლა. სარედაქციო კოლეგიაში შედიან: გურამ პეტრიაშვილი, ვილენ მარდალეიშვილი, მამუკა ვაშაკიძე, ბუბა ხოტივარი და ამირან დოლიძე. რუბრიკა „პერსონის“ სტუმარია ბატონი გურამ პეტრიაშვილი.

– ჩემი მშობლები პედაგოგები იყვნენ და ასწავლიდნენ ახლანდელ ახალგორში, რომელსაც მაშინ წინაგარი ერქვა. იქიდან მალე გადმომიყვანეს, რამდენიმე წელიწადს დედის ძმის ქვრივთან, ელო ძალოსთან ვცხოვრობდი დიდ ლილოში.

– რას ასწავლიდნენ მშობლები?

– მამაჩემი იყო საოცარი კაცი, სკოლის დირექტორად მუშაობდა. ახალგაზრდობაში მონაწილეობდა პატრიოტულ ორგანიზაციაში, რომელსაც ახალგაზრდა მარქსისტთა კავშირი ერქვა. რადგან ასეთ რამეში იყო შემჩნეული, ზემოთ აღარ უშვებდნენ.

მამა იყო ქართული ისტორიისა და ლიტერატურის მასწავლებელი, ძალიან მაგარი კაცი იყო. მე რომ მიტინგებზე გამოვდიოდი, ხშირად მოდიოდნენ ჩემთან ვიღაცები და მეუბნებოდნენ, კაცო, შენ მელენტი პეტრიაშვილის რამე ხომ არ ხარო? მამაჩემია-მეთქი, რომ ვეტყოდი, შენ კი ხარ კარგი ბიჭი, მაგრამ ის სხვა სიმაღლის კაცი იყოო, მეუბნებოდნენ და მიხაროდა, მართლა დიდი კაცი იყო.

რომ დაიბადა, თურმე იმ დროს რაჭაში ერთი კარგი მღვდელი მოღვაწეობდა, რომელსაც მელენტი ერქვა და მის პატივსაცემად, დედამისმა უთხრა მეუღლეს, მოდი, მელენტი დავარქვათო. რაჭაშიც იყო, ლენტეხშიც, სვანეთშიც... მაგარი იყო, მაგრამ წინ აღარ უშვებდნენ. მამაჩემს დამთავრებული აქვს ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი. მაშინ, როდესაც იქ, გაოცდები და, ივანე ჯავახიშვილი ასწავლიდა. მატრიკულში უწერია: „საქართველოს ისტორია“ „ფრიადი“. ხელმოწერა – ივ. ჯავახიშვილი. ასეთი კაცი იყო მამაჩემი.

დედა გერმანულს ასწავლიდა, მაგრამ ლილოში რომ გადმოვიდნენ საცხოვრებლად, შეიტანა განცხადება და გახდა ფოსტის გამგე. დაანება თავი პედაგოგობას, ვერ ვასწავლი ისე კარგად, როგორც საჭიროაო. ფოსტის გამგე იყო სიცოცხლის ბოლომდე, მაგრამ ხალხი ოთარაანთ ქვრივს ეძახდა, ყველას გაჭირვება გულთან მიჰქონდა, სოფელში ყველაფერი იყო კატუშა. კატუშა გვიშველისო, ამბობდნენ, თუკი რამე მოხდებოდა.

– წერა როდის დაიწყეთ?

– ცხადია, ბავშვობაში ვწერდი. როგორ შეიძლება, ქართველი ბავშვი არ წერდეს ლექსებს? ჩვენი ენა ხომ პირდაპირ იმისთვის არის გაჩენილი, რომ ლექსი დაწერო. მახსოვს პირველი ლექსები. მაშინ გადიოდა ფილმი „გიორგი საააკაძე“, კიდევ გადიოდა ფილმი, რომელიც ქართველებმა ალბანელებთან ერთად გადაიღეს. იმათაც ჰყავდათ გმირი გიორგი სკანდებერგი, ორივეს როლს თამაშობდა ჩვენი აკაკი ხორავა. ალბათ, ამის გავლენით დავწერე ლექსი.

ასეთი პატრიოტული მიმართულების მრავალი ლექსი მქონდა, მაშინ ფირფიტაზე ვუსმენდი სიმღერას: „მოხევის ქალო, თინაო“, ამ დროს ამ პატრიოტულ ლექსებს ვწერდი, მეორე სახის ლექსებიც მქონდა, ასე ვთქვათ, საყოფაცხოვრებო. მყავდა ძმაკაცი, ჩვენს მეზობლად ცხოვრობდა არსენა ფლიონაშვილი. მან სულ ძალიან პატარა რომ იყო, დაიწყო დოლის დაკვრა. ამ დოლის დაკვრით თბილისის რომელიღაც სახელგანთქმულ ანსამბლში მონაწილეობდა და მთელი მსოფლიო შემოიარა. ჰოდა, ამაზეც ვწერდი.

– ვიდრე თქვენს ზღაპრებზე გადავიდოდეთ, მინდა, გითხრათ, რომ იღბლიანი ხართ, რადგან ცნობილი რეჟისორების ფილმებში შეასრულეთ როლები...

– „ნეილონის ნაძვის ხით“ დავიწყებ. ჩემმა მეგობარმა ამირან დოლიძემ, რომელიც „ნეილონის ნაძვის ხის“ სცენარის ავტორია, პირველმა წამიკითხა ეგ სცენარი, ვურჩიე, რომ რეზო ესაძისთვის მიეტანა. ძალიან მომეწონა სცენარი. მანდ არის ძალიან კარგი აზრი, რომ ქართველები ჩვენს თავს ვგავართ და კარგები ვართ, როცა ვმღერივართ. სიმღერაში ხდება ქართველი კაცი ის, ვინც არის.

– როგორ შეგარჩიეს „ნეილონის ნაძვის ხისთვის“?

– კი არ შემარჩიეს, სცენარისტმა და რეჟისორმა გადაწყვიტეს, მერე კინოსტუდიის სამხატვრო საბჭო განიხილავდა ამ სცენარს. იქ ჩამოთვალეს, ვის რა უნდა ეთამაშა, ყველაფერზე შეთანხმებულად კარგად მიდიოდა საქმე, მერე ვიღაცამ დასვა კითხვა, ვინ უნდა ითამაშოს გიჟის როლი, რომელიც ყველას აგინებსო. რეზომ უთხრა, ეგ გურამ პეტრიაშვილიაო. ყველამ ხელი ჩაიქნია, მაშინ გადაწყვეტილი ყოფილაო. ასე მოხდა ჩემი სახალხო არჩევა.

– „ნეილონის ნაძვის ხე“ ... როგორი იყო თქვენი განცდა?

– ვიხსენებ და ამომიბრუნდა სული და გული... 44 წლის ვიყავი, მაგ ფილმს რომ ვიღებდით, ჩემს ცხოვრებაში არ მომიწევია არცერთი სიგარეტი, ხანდახან ჩავიდებდი პირში, ვითომ ვაბოლებდი. ჰოდა, ეს ფილმი რომ დაიწყო, ესაძემ ორი თვით ადრე მითხრა, როლში შენ სიგარეტს უნდა ეწეოდე, ამიტომ სიყალბე რომ არ გამოვიდეს, ახლავე დაიწყე და მოწიე სიგარეტი. გადავიღებ ფილმს და გადააგდებ სიგარეტსაცო, ორი თვე ვვარჯიშობდი, მერე გადავიღეთ, კარგიაო, რეზომ მითხრა, ახლა შეგიძლია გადააგდოო. მაგრამ ასე ადვილია, რომ შეეჩვევი იმის გადაგდებას?..

ვიდრე 2011 წელს უკრაინაში ინსულტი არ დამემართა, მანამდე ვეწეოდი. ექიმმა მითხრა, გადააგდე, თორემ მოკვდებიო, გადავაგდე, რამდენიმე წელი აღარ ვეწეოდი, აქაც რომ ჩამოვედი, არც აქ აღარ ვეწეოდი, მერე ისევ ხელახლა დავიწყე და ახლა ვებრძვი თავს, რომ გადავაგდო. ასეთი შედეგი დატოვა ჩემში...

რაც შეეხება კარგ ხელოვნებას, როცა კარგ კინოს გადაიღებენ, ხდება ის, რაც ეროვნულ მოძრაობაში ხდებოდა, გულები იხსნება ერთმანეთთან საალერსოდ და საურთიერთობოდ. მაგალითად, ეროვნული მოძრაობა ჩემთვის მხოლოდ პოლიტიკა კი არ იყო, არამედ – ესთეტიკური მდგომარეობა, ყველას რომ ყველა გვიყვარდა. ასეთია კარგი კინოც, იქაც ასეთი ერთობაა ადამიანებისა, ერთიანობა, რომელიც ძალიან ძვირფასია და სხვაგან მიუღწეველია.

– პირველი როლი...

– ლანა ღოღობერიძემ გადამიღო ფილმში – „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“. მე ისეთი კაცი ვარ, ვაკვირდები ყველაფერს, ეტყობა, კინოშიც არის რაღაც მოდა, მოდა სახეზე. მე კი არ ვარ ცუდი მსხიობი, მაგრამ არც ისეთი კარგი ვარ, არადა, თითქმის ყველა რეჟისორმა გადამიღო ფილმში, სულ 40 ფილმში მათამაშეს, მათ შორის, უკრაინაშიც. რაღაცნაირად მოეჩვენათ რეჟისორებს, რომ ჩემი სახე უნდა გადაეღოთ. მერე წავიდა და წავიდა... გადამიღეს და გადამიღეს... 8 მთავარი როლი შევასრულე.

– ვიცი, რომ გოდერძი ჩოხელის ფილმი „წერილი ნაძვებს“ განსაკუთრებით გიყვართ...

– რომ მეკითხებიან, რომელია ჩემი საყვარელი ფილმი, დაუფიქრებლად ვპასუხობ – „წერილი ნაძვებს“. ამ ფილმში ნაძვი ამომდის მხარზე და ეს ჩემთვის ყველაფერია. ერთხელ მე და გოდერძი გუდამაყარში წავედით, იმ დღეს გადაღება არ გვქონდა, გოდერძიმ მითხრა, მოდი, ბარემ ვნახოთ ის ადგილები, სადაც ფინალი უნდა გადავიღოთთო. ხომ გახსოვს, ორმოში რომ დგება მთავარი გმირი და მერე იქ ხე რომ დგას, მაგ ადგილს ვეძებდით. ვიარეთ ბლომად, გოდერძიმ მითხრა, აბა, თუ დაფიქრებულხარ, რატომ მინდოდა, რომ შენ გეთამაშა ეს როლიო? კმაყოფილი იყო, კარგად თამაშობო. აბა, თუ იცი, არ ვიცი-მეთქი. მე აღარც კი მახსოვდა, შენი ლექსი „ნერგი“ წავიკითხე და ამან დამაწერინა ეგ სცენარი და მოთხრობაო. აი, როგორია ეს ლექსი:

„ჩამეძინა მინდორში ერთხელ,
რომ გამეღვიძა, ვნახე,
დაბნეულ ვიღაც მეგაღეს
დღეს ჩემს ყელზე
პაწაწინა ნერგი დაერგო“...

მერე იზრდება ნერგი, მიდის ცისკენ, მე დამავიწყდა, ვინ ვარ, რა ვარ, ამ ნერგს ვუყურებ და შევხარი, მიხარია, რომ მისი წვერო განუწყვეტლივ იმ ლამაზი ლაჟვარდისკენ იწევს ჯიუტად. ასეთი ლექსია.

მე კირკიტა კაცი ვარ, არაფერს ვიჯერებ და მართალიც ვარ. ცხადია, რომ ეს ჩემი ლექსი იყო კერძო რაღაცა. გოდერძიმ სცენარი გაცილებით უკეთესი დაწერა, ვიდრე ეს ლექსია. ხდება ასეთი რაღაცები ლიტერატურაში.

გახსოვთ, ივანე კერესელიძემ დაწერა: „ორთავ თვალის სინათლეევ, რაზედ მოგიწყენია“, ამის გამოძახილი იყო, ილიამ რომ დაწერა დიდებული ლექსი: „ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია“. რეზო ლაღიძის მუსიკა ამ ლექსზე საქართველოს ჰიმნივითაა.

შენმა ლექსმა დამაწერინა და მივხვდი, რომ შენზე კარგად ვერვინ ვერ ითამაშებსო, – მითხრა გოდერძიმ. ტრაბახა არ ვარ, მაგრამ მაგ ფილმში ძალიან მაგრად ვთამაშობ. გაფითრებული ვუყურებ ხოლმე მაგ ფილმს, ჰა კარგად ვგრძნობ, ხე რომ ამომდის... მახსოვს, ბორჯომში ვიღებდით, ბიჭები გუნდ-გუნდად დამდევდნენ: ბიძა, ბიძა, ბიძა.... ხო, შვილო, რა გინდათ-მეთქი? როგორ გამაგრებს ნაძვს რეჟისორი მხარზეო. რომ მომაბეზრეს თავი, მერე ვუთხარი, რას მამაგრებს, რას მიჰქარავთ, დილით ამომდის ეს ნაძვი, საღამოს რეჟისორი ჭრის ძირში, მეორე დილას ისევ ამომდის-მეთქი.... მოკვდნენ სიცილით.

მახსოვს, როგორ ვღელავდი ფილმის გადაღების დროს, ბოლოს სული მეხუთება და მივდივარ, რომ ჩავდგე ორმოში და ხედ გადავიქცე, მართლა მქონდა ეგ შეგრძნება, ფილმიც მაძლევს მაგის საშუალებას, განზოგადებული კარგი რამეა. პირველად შემეშინდა, მართლა არ გადავიქცე ხედმეთქი, მანდ მოხდა საოცრება, არი ღმერთი რა. ვდგავარ, ყინავს და ყინვაში უძრავად დგომა საშინელებაა. თუმცა თბილად მეცვა ფეხზეც და ტანზეც. ვიყინები, ისეთ დღეში ვარ. უცებ აჩოჩქოლდა გადამღები ჯგუფი, გამნათებლები და ყველანი.

აჩოჩქოლდნენ, გამოვფხიზლდი და რა არის, ხალხო-მეთქი, ვკითხულობ? უყურე, რა დაფრინავს შენ გვერდითო. საიდან გაჩნდა, ულამაზესი ჭრელი პეპელა დაფრინავდა ჩემ ირგვლივ... გადავირიე, რომ დავინახე, დამავიწყდა სიცივეც და ყველაფერი, მაშინ კი დავიჯერე, ეტყობა კარგ რაღაცას ვიღებთ, რომ ღმერთმა ასეთი ანგელოზი გამოგვიგზავნა-მეთქი. მთავარი სასწაული რა მოხდა კიდევ... კინოს სახლში რომ აჩვენებდა გოდერძი ამ ფილმს, თან მყავდა ჩემი 3 წლის გოგო. ბოლო კადრებამდე რომ მივედით, ჩავდექი იქ, დილით განათდა და მე აღარ ვარ. არის მხოლოდ ხე, ჩემმა გოგომ ღრიალი მორთო, გააყრუა იქაურობა, ვაიმე, მამიკო, მამიკოო... მე ვეხვეოდი და ვეუბნებოდი, შვილო, აგერა ვარ მამაშენი, კინო იყო და მე აქ ვარ, მამა. ნახევარი საათი ვამშვიდებდი...

მივხვდი, რომ კარგი რაღაც გადავიღეთ. მანდ არის ჩემთვის უსაყვარლესი კადრი, ბუჩქში ვზივარ, ვემალები მილიციელებს, უცებ მოფრინდა ჩიტი და ჩემს ნაძვზე დაჯდა, ავხედე მარცხენა თვალით, თან ვიფიქრე, არ შევაშინო და არ გავაფრინო-მეთქი. მაინცადამაინც ჩემს ტოტზე დაჯდა, საოცარი არ არის?

– თქვენი ლექსი „ცრემლი“ ჩემს ბავშვობაში ზეპირად ვიცოდით... გვიყვარს ის ძველი ლექსები...

– ახლა ვაპირებ, ძველი და ახალი ზღაპარ-ლექსების გამოცემას. მაგ ლექსებს მე ზღაპარ-ლექსები დავარქვი.

ძველი ზღაპარ-ლექსებია: ცრემლი რომ დადის, ჟირაფს კისერს რომ მოაჭრიან, მსახიობმა ისე კარგად ითამაშა სიცივე, რომ სცენაზე მართლა მოვიდა თოვლი... ახლაც ვწერ, ახლა რითმიანი ლექსები მაქვს და ძველი და ახალი ზღაპარ-ლექსების გამოცემა ერთად მინდა.

– სიყვარული... ძველი ბაღიდან აფრენილი ფოთოლი, რომელიც ქარს მოაქვს ჩვენს აივანთან...

– როცა იფიქრებ, ყველამ დაგტოვა, ძველი ბაღიდან აფრენილ ფოთოლს შენს აივანზე მოიტანს ქარი... ხდება ზოგჯერ, ვიღაცა ვიღაცას ერთხელ შეიყვარებს და სიკვდილამდე უყვარს. არის ასეთი სიყვარულიც, ერთხელ შეუყვარდებათ ქალსა და კაცს და სიკვდილამდე ერთად დარჩებიან.

მე ძალიან ბევრი ქალი მიყვარდა ცხოვრებაში. ბევრმა არც იცოდა, რომ მიყვარდა. ეს ვისზეც დავწერე, იმან არც იცოდა, რომ მიყვარდა. „ქუჩის კუთხეში მოულოდნელად შევხვდით ერთმანეთს, რა ნაღვლიანი საღამო იყო, მე ყვავილები მიმქონდა სხვისთვის“... ძირითადად, სევდიანი ლექსები მაქვს სიყვარულზე. სიყვარულო რა ხარო... ოხერია.

– აღიარებთ, რომ მრავალი ქალი გყვარებიათ?!

– ვერც კი დავითვლი...

სიყვარული... რა იყო, იცი? მე ვარ ვერბალური, ანუ პოეზიიდან მოსული კაცი ვარ, ძალიან მიყვარს სილამაზე. ამას რაღა ჩემი თქმა უნდა, ბევრმა ჩემზე კარგადაც თქვა, ყველაფერზე ლამაზი, ყველა ყვავილზე, ნიავზე, სიოზე, ყველაფერზე ლამაზი ქვეყანაზე არის ლამაზი ქალი. უფრო ლამაზი არაფერია. ჰოდა, ლამაზ ქალს რომ დავინახავდი, შემიყვარდებოდა ხოლმე.

იხ. 9 გვ.

„ეი, ახლა კი ნამდვილად დავილუპეთ!“

რუსი ანალიტიკოსები პუტინის რუსეთის მომავალზე

რუსი ანალიტიკოსები პუტინის რუსეთს სწრაფ კრახს უწინასწარმეტყველებენ.

მწერალი და პოლიტიკური ანალიტიკოსი **ალექსანდრე სკობოვი** წერს, რომ „კრემლის ვირთხები ახლა სანქციებისგან მართლაც აწკავწკავდნენ, რადგან ამჯერად რეალური ტკივილი იგრძნეს“.

„როგორც იქნა! და ამის მიზეზი ორი შემხვედრი პროცესია: ერთი მხრივ, პუტინომიკის „სიმყარის მარაგი“, რომელიც მას დღემდე მოქმედი — ძირითადად სიმბოლური ხასიათის სანქციებისადმი ადაპტირების შესაძლებლობას აძლევდა, ნელა, მაგრამ გარდაუვალად ილევა; ხოლო მეორე მხრივ, დასავლურმა, უპირველესად კი ამერიკულმა ისტებლიშმენტმა ასევე ნელა, მაგრამ გარდაუვალად დაიწყო იმის გაცნობიერება, რომ კრემლთან კომპრომისების მიღწევა შეუძლებელია და, შესაბამისად, შეწყვიტა ზრუნვა იმაზე, რომ კრემლის ვირთხას არაფერი ატკინოს.

სანქციები მართლაც აღარ არის სიმბოლური და აღარ არის მიმართული კრემლის გონს მოყვანაზე, — ამის იმედი უბრალოდ აღარ აქვთ. ახლა სანქციები რეალურად მიიმართა რუსეთის ეკონომიკის დასუსტებასა და მორყევაზე, ანუ იმაზე, რის შესახებაც იმთავითვე გაჰკიოდა კრემლის პროპაგანდა.

მოკლედ, კრემლმა მოახერხა და საკუთარი პროპაგანდისტული მითები რეალობად აქცია; მოახერხა, დაერწმუნებინა კოლექტიური დასავლეთი იმაში, რომ რუსეთი გარდაუვალ საფრთხეს წარმოადგენს, რომელთან თანაცხოვრებაც შეუძლებელია — შესაძლებელია მხოლოდ, გაანეიტრალო. დიახ, სანქციების გამკაცრებისკენ დასავლეთს ახლა არა ადამიანის უფლებებზე ზრუნვა, არამედ მთელი დასავლური პოლიტიკური სისტემის დესტაბილიზაციის საფრთხე უბიძგებს. თუმცა, დარწმუნებული ვარ, რაკიღა დასავლურ დედაქალაქებში რუსული აგრესიის აღკვეთის აუცილებლობა გააცნობიერეს, ადამიანის უფლებებიც გაახსენდებათ.

დასავლეთი მეტისმეტად დიდხანს რჩებოდა ვარდისფერი მოდუნების მდგომარეობაში და კრემლის ვირთხებსაც მოეჩვენათ, რომ შეუძლიათ, გამუდმებით დაუსჯელად დასცინონ კუდზე ძაჩვით, მაგრამ ახლა უკვე ცხადი გახდა, რომ მძინარე ძაღლის გაღვიძება არ ღირდა.

დასავლეთის მმართველმა წრეებმა გააცნობიერეს: პუტინის რეჟიმი ვერ იტყვის უარს მცდელობებზე, დასავლეთის სრულ გეოპოლიტიკურ კაპიტულაციას მიაღწიოს. ამიტომაც მისი დაპირისპირება დასავლეთთან შეიძლება, მხოლოდ თავად რუსეთის სრული და უპირობო კაპიტულაციით დასრულდეს.

ახლა მხოლოდ ერთი რამის გაცნობიერებაღა რჩება: სირიაში რუსეთის ინტერვენტების განადგურების საპასუხოდ კრემლის ვირთხა ბირთვული რაკეტების სროლას არ დაიწყებს: მგელი ნაჭრისაა და ყველაფერი მთელი მსოფლიოს გასაგონად მორიგი დაღმუვლებით შემოიფარგლება“, წერს სკობოვი.

სრულ კრახს უწინასწარმეტყველებს პუტინის რუსეთს ანალიტიკოსი **ლილია შევცოვაც**:

„რა შეიძლება, ეწოდოს სიტუაციას, როცა ფიქრობ, რომ დიდი კუში მოხსენი, რეალურად კი ყველაფერი წააგე? — სიბეცე, არაადეკვატურობა, გონების დაბინდვა?

რა უნდა ეწოდოს პოლიტიკას, რომელმაც მუდამ უმაღლეს მსოფლიო ლიგაში მყოფი სახელმწიფო ყველასგან გარიყული ქვეყნის სტატუსამდე მიიყვანა? აქ ხომ არა ერთ-ორ გამოსწორებად ჩავარდნაზეა საუბარი, არამედ მოქმედებაზე, რომელმაც რუსეთი ჩიხში მოამწყვდია, საიდანაც გამოსავალი არ ჩანს. როგორ ძალიან უნდა მოგვენდომებინა, რომ რუსეთის მიმართ ყველაზე მეგობრულ საბერძნეთსაც კი რუსი დიპლომატების გამოძევება დაეწყო?!

დღეს რუსეთი სასანქციო ბლოკადის საფრთხის წინაშეა — ბლოკადისა, რომელიც სიმძიმით უწინდელს ვერ შეედრება. დღემდე არსებულ განახლებად სანქციებს, ასე თუ ისე, შევეგუეთ და სასანქციო ღობეში საძრომები ვიპოვეთ, რომელიც გადარჩენის შესაძლებლობას გვაძლევდა. თუმცა ახლა სიცილ-კისკისობანა დასრულდა! ამერიკა ახალ ბაწარს გვიმზადებს, რომლიდანაც თავს ვეღარ გამოვითავისუფლებთ. და ეს ბაწარი რუსეთის ყელზე დარჩება მას შემდეგაც, რაც კრემლის ამჟამინდელი მმართველები წავლენ. პენსიები კითხვის ნიშნის ქვეშაა, აი, მახრჩობელა ბაწარი კი უკვე გარანტირებული გვაქვს! გავიხსენოთ: ჯექსონ-ვენიკის შესწორება, რომელიც აშშ-მა რუსეთის წინააღმდეგ 1974 წელს შემოიღო, მხოლოდ 2012 წელს გაუქმდა, როდესაც მისი შემოღების საფუძვლები უკვე დიდი ხნის გამქრალი იყო...

„კოლექტიური დასავლეთი“ სულაც არ ცდილობს რუსეთის ეკონომიკის ჩამოშლას: რაში სჭირდება ეს თავის ტკივილი?! პრეზიდენტ პუტინის წაქცევას? — რა სისულელეა! დასავლურ სანქციებს რეჟიმების ცვლა არასოდეს გამოუწვევია. აქ საუბარია იმ მექანიზმის ფორმირებაზე, რომელიც აიძულებდა რუსეთის მმართველ კლასს, მაღალი ფასი გადაეხადა ტოტალური თვითნებობის დაუსჯელობის რწმენაში — თვითნებობისა არა მარტო შინ, არამედ კარს მიღმაც.

თუმცა პრობლემა იმაშია, რომ ჩვენი ხელისუფლება ეცდება, სასანქციო ტვირთი საზოგადოებას აჰკიდოს: მმართველი ელიტის დანაშაულებისთვის სწორედ რიგით მოქალაქეებს მოუწევთ პასუხისმგებლობა, მაგრამ, დამეთანხმეთ, ეს ლოგიკურიცაა: პუტინის პოლიტიკას ხომ მათ დაუჭირეს მხარი! ყოველ შემთხვევაში, ასე იყო ბოლო დრომდე...

თუმცა გიჟის შემაკავებელი პერანგი მმართველი ელიტისთვის — ეს ჯერ კიდევ არ არის მთელი ის „სიამოვნება“, რომელიც წინ გველის. **გამოცხადებული ამერიკული სანქციები (რომც შერბილდეს) რუსეთისთვის ახალ გეოპოლიტიკურ ვითარებას ქმნის: 1) ვიწროვდება შესაძლებლობები მისი დერჟავული როლისთვის, ანუ რუსული სისტემის ხერხემალი ტყდება; 2) ინგრევა ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში ჩამოყალიბებული კონსტრუქცია, რომელიც დასავლეთის ფინანსური და ტექნოლოგიური რესურსების ხარჯზე რუსეთის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებას უზრუნველყოფდა.**

რუსეთის ხელისუფლებამ უპატიებელი შეცდომა დაუშვა, როცა ჩათვალა, რომ შეიძლება, ამერიკას კუდზე ქაჩოს და მუდმივად გამოსცადოს მისი მოთმინება. გააღიზიანა რა ამერიკა, კრემლმა არა უბრალოდ აქცია რუსეთი ამერიკული პოლიტიკური ბრძოლის ფაქტორად. ამერიკელებმა გააკეთეს ის, რაც რუსეთის ხელისუფლებამ აშშ-ის მიმართ შინ გააკეთა: ანტირუსული პოზიცია ამერიკული პატრიოტიზმის კრიტერიუმად და ლამის ეროვნულ იდეად იქცა. გლობალური შერიფის როლისგან გადაღლილმა ამერიკელებმა მოულოდნელად ადრენალინის დოზა მიიღეს რუსეთის შეკავების დასავლური ფრონტის შესაქმნელად. ვინმე მოსკოვში ფიქრობს იმაზე, რით შეიძლება, დასრულდეს ჰაკერული თამაშები ამერიკულ არჩევნებთან და პროვინციალი რუსი გოგონების გამოყენება ვაშინგტონური ბომონდის „დასაბოლებლად“?

რა თქმა უნდა, არქიტექტორი ჩვენი საგარეო პოლიტიკისა, რომელმაც რუსეთი ტლაპოში ჩასვა, კრემლია. თუმცა სამართლიანობისთვის უნდა ვახსენოთ ისინიც, ვინც ამაზე პასუხისმგებლობას ინაწილებს. ამ სიაშია, უპირველესად, რუსული პოლიტიკური კლასი, რომელიც ათწლეულების განმავლობაში წუწუნებდა დასავლეთის მხრიდან „დამცირების“ შესახებ და კრემლს „სათანადო პატივისცემის“ უზრუნველსაყოფად შურისძიებისკენ მოუწოდებდა. მხედველობაში მყავს, უპირველესად, ადგილობრივი „ექსპერტები“, რომლებიც ყველა ხვრელიდან გაჰკიოდნენ, „დასავლეთის ჰეგემონია დასრულდა და ახლა შეგვიძლია, მის მიმართ გაბედულად ვიმოქმედოთო“.

მათ გარდა, პასუხისმგებლობას ინაწილებენ დასავლელი ლიდერები (შრედერი, ბერლუსკონი, სარკოზი, შირაკი და სხვანი), რომლებიც რუსეთის პრეზიდენტს ყურში ჩასჩურჩულებდნენ იმას, რისი მოსმენაც სურდა; ასევე ევროპელი ლიდერები (მაგალითად, უნგრელი პრემიერი ორბანი), რომელმაც ისწავლა, როგორ გადაცვალოს პრო-კრემლისეული რიტორიკა რუსეთის უსასყიდლო დახმარებაზე; ასევე დასავლელი ინტელექტუალური გურუები, ჟურნალისტები და სხვა მოღვაწეები, რომლებიც რუსული ფულის სანაცვლოდ არწმუნებდნენ მსოფლიოს, „რუსეთს გაბუტვის საფუძველი აძვს და, მაშასადამე, აძვს უფლებაც, სხვის სახლებში შუშები ლეწოსო“.

არ უნდა დაგვავიწყდეს ასევე პარადოქსი პრეზიდენტი ტრამპი: იგი ერთი მხრივ, თითქოს ქმნის ამერიკასა და აშშ-ს შორის გარიგების ილუზიას, თუმცა რეალობაში სრულიად საპირისპიროს ვიღებთ: რაც მეტად სურს ტრამპს ჩვენთან მეგობრობა, მით უფრო მტკივნეულია ჩვენთვის ამერიკული სანქციები.

მართალია, ტრამპიც წავა, მაგრამ ჩვენი კოშმარი კიდევ დიდხანს არ გაივლის. რაც არ უნდა ვაკეთოთ, ვიქნებით ცუდად. შევეცდებით ამერიკასთან მეგობრობას? — ამერიკელებს ეს საეჭვოდ მოეჩვენებათ. თუ, რა თქმა უნდა, რუსეთი არ იტყვის, „Mea Culpa!“-ო. მაგრამ რუსეთს ხომ საკუთარი დანაშაულების აღიარება და თავის მართლება არ სჩვევია. შევეცდებით, ამერიკას ვუპასუხოთ? (და რა უნდა ვუპასუხოთ?) — მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდება, რადგან რუსეთი ვერ გაუწევს წინააღმდეგობას ყველაზე განვითარებულ და მდიდარ ცივილიზაციას, რომელიც თავად გააცოფა...

ერთი სიტყვით, დავიღუპეთ!“ — წერს შევცოვა.

საინფორმაციო სააგენტო „აქცენტი“

20 აგვისტოდან ე.წ კერძო მევახშეებზე მასშტაბური შეზღუდვები ამოქმედდება

კერძო გამსესხებლებს, რომლებიც ეროვნულ ბანკში (სებ) არ იქნებიან სესხის გამცემ სუბიექტად რეგისტრირებულნი ფიზიკურ პირებზე უზრუნველყოფილი სესხების გაცემა აეკრძალებათ.

სამოქალაქო კოდექსში შესული ცვლილებით, დაუშვებელი ხდება ფიზიკურ პირსა და ინდმეწარმეებზე სესხის გაცემა ავტომობილის, სარკინიგზო ტრანსპორტის ან სასოფლო-სამეურნეო მანქანის დამხმარე საშუალებების, მის ან სხვა ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის, აგრეთვე წყლისა და საჰაერო სატრანსპორტო საშუალების უზრუნველყოფით;

აქ გამონაკლისია ის შემთხვევა, თუ პირი საცხოვრებლად ან ადგილსამყოფლად იგირავებს უძრავ ქონებას, თუმცა, თუ ერთი და იგივე ფიზიკური პირის ან იურიდიული პირის სასარგებლოდ 2 იპოთეკაზე მეტია რეგისტრირებული, შემდეგ ხელშეკრულებაში შეზღუდვა ამოქმედდება.

ასევე კერძო გამსესხებელს აღარ შეეძლება მსესხებლისგან დამატებითი ქონების მოთხოვნა, იმ შემთხვევაში, თუ გირაოში ჩადებული ქონებით არსებული მოთხოვნის დაკმაყოფილება ვერ ხდება. სებ-ის რეგულირებაში მოქცეული სუბიექტებისთვის კი, განსხვავებული ან დამატებითი წესის შემოღება მარეგულირებლის პრერეგატივა ხდება.

კიდევ ერთი ცვლილება ლარით ფასდადებას ეხება. მაგალითად, განვადების ან ლიზინგისას, თუ დაფინანსების თანხა (ლიზინგის საზღაურში შემავალი ყველა დამატებითი გადასახდელისა და ხარჯის გარეშე) 100 000 (ასი ათას) ლარზე ნაკლებია, არ შეიძლება, უცხოურ ვალუტაზე იყოს მიბმული ან ინდექსირებული.

ამასთან, უზრუნველყოფილი სესხების შემთხვევაში კრედიტორმა ფულადი სახსრები მსესხებელზე უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით უნდა გასცეს.



„ო, როგორ მიყვარდა გრეტა გარბო“...

(მეშვიდე გვერდიდან) ერთ ამბავს მოგიყვებით. ერთ ოთახში ვმუშაობდით მე და ჩემი სიყვარულის ობიექტი... ისეთი ნაზი ქალი იყო, როგორ გამოვუტყდებოდი სიყვარულში. მერე ღმერთმა კარგად გამსაჯა. შევძელი ეს ჩემი სიყვარული მისთვის სხვანაირად დამემტკიცებინა, კარგი საქმე გამეკეთებინა. მაშინ დაიწყო შემცირებები, ჩვენს ოთახში შეამცირეს ეს გოგო, სამი შვილის დედა... მე, დიდი რაინდი გურამ პეტრიაშვილი, ავდექი და ვუთხარი უფროსობას, არ მოგცემთ უფლებას, რომ ეგ ქალი შეამციროთ, მე წავალ, ოღონდ ეგ არ შეამციროთ-მეთქი... მახსოვს, კინაღამ გული ამომივარდა, მადლობის ნიშნად რომ გადამეხვია და გადამკოცნა. იმისთვის მართლა ღირდა უმუშევრობა... კარგი სამსახურის შოვნა ყოველთვის ძნელი იყო და სამი შვილი ჰყავდა. გადამეხვია, გადამკოცნა, მეც კმაყოფილი წამოვედი, რომ რაინდული საქციელი ჩავიდინე.

– ეს რა ისტორიები გქონიათ...

– აბა, საიდან მოდის პოეზია და ზღაპარი? აქედან მოდის, იქ გულს გაუნაწილებ ვიღაცას, იქ შეგეხება ცხოვრების ბრჭყალი, ან ვერ შეგეხება...

მარტო ცოცხალი ქალები კი არ მიყვარდა. ყველამ იცის მსოფლიო კინოს ერთ-ერთი აღიარებული მსახიობი, რომელსაც ღვთაებრივ გრეტას ეძახდნენ, ეს იყო გრეტა გარბო. მან 1938 წელს სულ მცირე ასაკში, მგონი, ჯერ 36 წლისაც არ იყო, ითამაშა ბოლო ფილმში და წავიდა, აღარ მინდა კინო, მომბეზრდაო... ეს გრეტა საოცრად მიყვარდა, ვაიმე როგორ მიყვარდა, ვაფრენდი. 50 წლის წინათ არის გარდაცვლილი და მე ისევ მიყვარს. კიდევ უფრო სასწაულს გეტყვით. მიშა კვესელავამ მასწავლა, რომ დაიწყებ წიგნს, რამდენიც გინდა აქონ, მე-10 გვერდზე უკვე მიხვდები, შენი წიგნია თუ არაო. თუ შენი წიგნია, წაიკითხე, თუ არა, დაანებე თავი, ვისი წიგნიცაა, იმან წაიკითხოსო. ამიტომ თომას მანის „დოქტორი ფაუსტუსი“ ჩემს მიშასაც უყვარდა და მასზე დიდხანს შეეძლო ლაპარაკი. მე კი ვერაფრით წავიკითხე, ჩემი წიგნი არ ყოფილა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ თომას მანის „ჯადოსნური მთა“ ყოფილა ჩემი წიგნი. იქ არის გმირი მადამ შოშა, რომელიც ჰანს კასტორპს მისი რენტგენის სურათით შეუყვარდება. სასწაული არ არის მწერლობა? მეც მჯერა, იმიტომ შეუყვარდა, რომ ამ ქალის რენტგენის სურათი ნახა.

არ ვიცი, მართლა შეიძლება ეს თუ არა, მაგრამ დამაჯერა იმ ოხერმა. მიყვარდა და რა ვქნა?

თბილისის ქუჩაში რომ მივდიოდი, რა უნდოდა თბილისში იმ ქალს, გავივლიდი სადარბაზოსთან და უცებ გული ამიფანცქალდებოდა, ახლა მადამ შოშა უნდა გამოსულიყო იქიდან... როგორ გამოვიდოდა? სისულელეა, მაგრამ ამ სისულელეებით ყალიბდება ადამიანის პიროვნება, ამ სისულელეებმა შემიწყო ხელი, რომ რატომღაც დავიწყე ზღაპრების წერა. მთელი კვირა ზეიმი მქონდა, რომ გავიგე, ჩემნაირადვე გრეტა გარბო გრიგოლ რობაქიძეს უყვარდა.

გრიგოლ რობაქიძეს უყვარდა, როცა ცოცხალი იყო გრეტა. მას პლატონურად კი არ უყვარდა, მას მართლა უყვარდა. ო, რა წერილი აქვს დაწერილი, იცი, გრიგოლ რობაქიძეს?

ახლა არ გაინტერესებთ, ეს ყველაფერი რაში გარდაისახა? ამ ჩემი გრეტასადმი დიდი სიყვარულის შედეგი რა არის? ამ ცოტა ხნის წინათ გადავწყვიტე, აღარ მომწონს ქართველი პოეტები რომ წერენ, ყურპარტყუნა, კუდბუთქუნა ციყვები, თაფლიჭამია დათვებიო... საჭიროა სხვა რაღაცები. შეუძლებელია სულ ესენი ვიძახოთ.

ჰოდა, დავწერე ლექსი:

„სარკეებთან დიდხანს დგომა
გიყვარს, ჩვენო ზღარბო,
ზედ გეტყობა, რომ გგონია
თავი გრეტა გარბო
გეტყვი, თავზე წარმოდგენა
რომ არ გქონდეს ჭარბად,
გრეტა გარბო არასოდეს
თავს არ გრძნობდა ზღარბად“.

ჩემმა ერთგულმა სიყვარულმა დამაწერინა ეს ლექსი. ო, როგორ მიყვარდა გრეტა, ერთი ჩემ გვერდით ვინმეს ეთქვა, მე მიყვარს გრეტაო, გავუტეხავდი ცხვირს. გენიალური ფილმია „სამსახურებრივი რომანი“, იქ რომ შეუყვარდებათ ერთმანეთი, ასეთი რამ, ალბათ, იშვიათად ხდება. უფრო სევდიანია სიყვარულის ამბავი.

– ახლახან თქვენი ცნობილი ზღაპრების წიგნის „პატარა ქალაქის ზღაპრების“ მეოთხე გამოცემა დაიბეჭდა, რომელიც ნინო ჩაკვეტაძემ დაასურათა...

– სამი ტირაჟი გაიყიდა. ახლა მეოთხე ტირაჟი გამოვიდა, ორჯერ უფრო მეტი, ვიდრე პირველი სამი ტირაჟი. ბესტსელერია „ბიბლუსის“ მაღაზიებში.

როგორ ვიპოვე ნინო ჩაკვეტაძე... რომ ჩამოვედი უკრაინიდან, მხატვარს ვეძებდი, შემთხვევით გადაცემა ვნახე ნინო ჩაკვეტაძეზე. გავიგე ტელეფონი, დავურეკე, მე ვარ ქართველი მწერალი გურამ პეტრიაშვილი, ზღაპრების მხატვარს ვეძებ, ძალიან გამახარებთ, თუ ჩემს ზღაპრებს დაასურათებთ-მეთქი. გაეცინა, რას ამბობთ, ჩემი უსაყვარლესი მწერალი ხართ, ზღაპრების მწერალიო. ილუსტრირება სიყვარულს ჰგავს, სიყვარული კი ორმხრივი უნდა იყოს, რომ ნაყოფი გამოიღოს. თუ მარტო ქალს უყვარს ან კაცს, შვილი ხომ არ გაჩნდება? ორივეს უნდა უყვარდეს.

მხატვარზე რომ ვუთხარი ერთ გოგოს (არ ვტრაბახობ, მაგრამ მყავს ფანები საქართველოში), რომელმაც მკითხა, როგორ არის თქვენი ზღაპრების საქმეო, დღეს ვიპოვე მხატვარი-მეთქი. ვინ იპოვეო, ნინო ჩაკვეტაძე-მეთქი. უი, რას ამბობ, მაგარი ტანდემი ხართ, საოცრად დახატავსო. მართლაც, ასე მოხდა.

– ასტრიდ ლინდგრენის პრემიის ნომინანტად იყავით წარდგენილი...

– მე ცოტა წატრაბახება მიყვარს. ერთი თვის წინათ აღმოვაჩინე ინტერნეტში, რუსეთში 1991 წელს გამოვიდა წიგნი „სასწაულებრივი წყარო“, სადაც შეტანილია საბჭოთა კავშირის ხალხების საუკეთესო მეზღაპრეების ნაწარმოებები. კრებულში ჩემი ორი ზღაპარი შევიდა, მეტი ქართველი არავინაა.

ვინ არიან, იცი? ჩინგიზ აითმათოვი, კონსტანტინე პაუსტოვსკი, სამუელ მარშაკი, ძალიან დიდრონი ვიღაცები. მაგათ შორის ყველაზე გამოუჩენელი კაცი მე ვარ.

რაც შეეხება ასტრიდ ლინდგრენის პრემიას, უნდა ვიცოდეთ, რა რა არის.ეს პრემია პოლიტიკური წამახალისებელია. საქართველოს რამე დიდი როლი რომ ჰქონდეს მსოფლიოში, მისცემდნენ ქართველს, ამ წუთში ქართველს არ მისცემენ, რაც უნდა ღირსი იყოს. მე კი მჯერა, რომ ყველაზე კარგი მეზღაპრე ვარ.

რა სინდისით არიგებენ მის პრემიებს, როდესაც ისე გარდაიცვალა, შვედებმა ნობელის პრემია არ მისცეს. ლინდგრენი დედამიწაზე ყველაზე პოპულარული მეორე ქალია. მისი ყველაზე მეტი წიგნია გაყიდული, პირველია აგატა კრისტი.

მიმაჩნია, რომ ყველაზე მაგარი ლინდგრენია, მართლა საბავშვო მწერალია ასტრიდ ლინდგრენი. საოცარია, გრეტა გარბოც შვედი იყო, ლინდგრენიც შვედია, რამ შემაყვარა ეს შვედები. შვედებზე ვაფრენ!

– ახალი ჟურნალის გამოცემის გარდა, ბოლო პერიოდში ახალი ზღაპრებიც გამოაქვეყნეთ...

– „საქართველოს რესპუბლიკაში“ „ალმოდებული პეპლები“ გამოვაქვეყნე, ჩემი ბავშვობის სიყვარულზე იყო... პირველ სიყვარულზე, პირველ კლასში რომ ვიყავი. ეს ის დროა, როცა ახალგორში ვცხოვრობთ. ეს გოგოც მასწავლებლების შვილი იყო. მახსოვს, რომ მოიტეხა ფეხი, როგორი უბედური ვიყავი, ფეხმოტეხილი იყო ჩემი შეყვარებული. მშობლებმა წამიყვანეს, ვნახოთ ის გოგოო, სახელი მანანა ამეკვიატა, მე მგონი, არ ერქვა მანანა, მაგრამ ზღაპარში მანანა დავარქვი. წავედით მანანასთან და მშობლებს ვუთხარი, აქ საქმე მაქვს, თქვენ შედით-მეთქი. რა საქმე მქონდა, არაფერი. თოვლი მოვიდა, ახალი ფაფუკი და წმინდა თოვლი იდო. მივედი და იქ, სადაც ბოლოს მანანა იდგა, იმ ადგილას დავიხარე და თოვლს ვაკოცე, მახსოვს თოვლზე ჩემი ტუჩების ნაკვალევი...

ასეთი სასიყვარულო ამბავი იყო, ჩემმა მეგობარმა ამირან დოლიძემ მითხრა, ღმერთმა დაგასაჩუქრა ამ ნიჭით, რომ ისევ ის სიყვარული გახსოვსო. რა დასამალია და რომ ვწერდი, მართლა მახსოვდა....

რამ ჩამაგონა ეს ზღაპარი? 6 წლის ბიჭმა ვაკოცე მიწას, სადაც ის მანანა იდგა, სასწაული არ არის, კაცო. არაფერი არ ვიცოდი სიყვარულზე და არაფერზე, მაგრამ ეს ჩამაგონა, ალბათ, ღმერთმა. მე ასე მჯერა და მართლაც ეგრეა.

ქრისტე არის სიყვარული, ქრისტეს შეგრძნება, ჩვენ რომ შევიგრძნობთ იმ სიყვარულს შთაგვაგონებს სწორედ. ალბათ, იქიდან არის ყველაფერი.

– რა ვიცი, აბა, მე კითხვების დასმა ვიცი, პასუხები კი არ ვიცი.

თამარ შაიშმელაშვილი

საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

განცხადება

ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი) ახორციელებს შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბათუმი (ანგისა) - ახალციხის საავტომობილო გზის ხულო - ზარზმის მონაკვეთის სარეაბილიტაციო - სარეკონსტრუქციო სამუშაოების (ბათუმი-ახალციხის გზის პროექტი, ხულო-გოდერძის მონაკვეთი) პროექტს (შემდგომში - პროექტი). პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოექცა მოქალაქე **თამაზ შანთაძის (პ/ნ 61009007518)** საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, 54 კვ. მეტრის, მთლიანი მიწის ნაკვეთი (ს/კ 23.06.38.644) მდებარე, ხულოს რაიონი, სოფელი განახლებაში და მასზე განთავსებული შენობანაგებობა ფართით 31.50 კვ. მეტრი (შემდგომში-საექსპროპრიაციო ქონება).

დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, მოქალაქე **თამაზ შანთაძესთან (პ/ნ 61009007518)** ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება საექსპროპრიაციო ქონების მორიგებით გამოსყიდვის თაობაზე. მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, აღნიშნული უძრავი ქონების მესაკუთრეს დამატებით, წერილობით ეცნობა განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცა პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ. მესაკუთრე ინფორმირებული იყო, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესაბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროპრიაციის პროცედურები.

„საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2018 წლის 07 აგვისტოს 1-1/402 ბრძანებით, დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება ხულოს რაიონის, სოფელ განახლებაში, მდებარე მოქალაქე **თამაზ შანთაძის (პ/ნ 61009007518)** საექსპროპრიაციო ქონებაზე.

დეპარტამენტი უახლოეს მომავალში მიმართავს სასამართლოს, საექსპროპრიაციო ქონებაზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

◎ ვითარება

ბუზისა და სპილოს სინდრომი

საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების წევრებმა და მთავარმა მწვრთნელმა რუსეთის დროშის ფერებში შეკერილი, ოკუპირებული სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პარლამენტის წევრ ჯამბულატ თედეევის გამოსახულებიანი მაისურები მოირგეს.

ინფორმაციას ამასთან დაკავშირებით რადიო „თავისუფლება“ ავრცელებს. ფოტოზე, რომელიც „რადიო თავისუფლებას“ მიაწოდეს, ქართველი და რუსი მოჭიდავეები ერთად დგანან. მსოფლიოს ჩემპიონებს — **გენო პეტრიაშვილს, ზურაბ იაკობიშვილს,** ნაკრების თავკაც **გიორგი იანტბელიძეს** და ნაკრების ყოფილ მოჭიდავე **მამუკა არეავაძეს** ერთნაირი მაისურები აცვიათ, რომელზეც რუსეთის დროშის ფონზე გამოსახულია ჯამბულატ თედეევის ფოტო.

თედეევი რუსეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი და დე ფაქტო სამხრეთ ოსეთის პარლამენტის დეპუტატია.

აღნიშნულ ინფორმაციას გუშინ შესაბამისი კომენტარები მოჰყვა:

„მთელ მსოფლიოს აცვია გენო პეტრიაშვილის, ლადო ხინჩეგაშვილის გამოსახულებიანი მაისური, რატომ არ იძახით, რატომ გაცვიათ, ბიჭებოო? მთელი მსოფლიო ჩვენს დროშას რომ აქვეყნებს. ფედერაცია რომ ასეთი წარმატებულია, ვინმეს უკითხავს? მოვიდნენ და ნახონ, რა პირობებში ვვარჯიშობთ, ჩვენი ბიჭები მაიკებს ჩაიცვამენ თუ არა, არავის საქმეა, უკაცრავად. საცოდავი ბიჭი — ტატუნაშვილი რომ გადმოასვენეს, ზუსტად ეგ კაცი ჩაერია, მაგან გადაწყვიტა, ეს კაცი რომ ოჯახშია დასაფლავებული, ვინმემ იცით? მტერი რომ გახდა, თურმე, ჩვენი მეგობარი რომ დაგვეხმარა, გაიგეთ ვინმემ?“, — განაცხადა საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა გეგა გეგეშიძემ.

საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების წევრი გენო პეტრიაშვილი და მწვრთნელი გიორგი იანტბელიძე სოციალურ ქსელში განცხადებას აქვეყნებენ.

გენო პეტრიაშვილი წერს: **„მოგესალმებით. სოციალურ ქსელებში გავრცელებულ ჩემს და ჩემი თანაგუნდელების ფოტოსთან დაკავშირებით მინდა ვთქვა. ფოტო გადაღებულია 2018 წლის ევროპის ჩემპიონატზე დაღესტანში, სადაც ჯაბო თედეევმა გვთხოვა ფოტოს გადაღება თავისივე გამოსახულებიანი მაისურით და ჩვენ მეგობრულად დავთანხმდით, რადგან ჩვენი დიდი გულშემატკივარია და ვმეგობრობთ.**

მსგავსი მაისურები სუვენირების სახით არის ყველა ჩემპიონატზე. ამ მაისურზე გამოსახულია ჩვენი მეგობარი მოჭიდავე და მხოლოდ ამის გამო გადავიღეთ ეს ფოტო. ეს იყო მხოლოდ მეგობრული ჟესტი. მერწმუნეთ, არ მიმიქცევია ყურადღება მაისურის ფერისთვის...

მეც და ჩვენი ნაკრების თითოეულ წევრს ისევე შესტკივა გული ჩვენს სამშობლოზე და დაკარგულ ტერიტორიებზე, როგორც ყველა ქართველს!“, — წერს პეტრიაშვილი. სოციალურ ქსელში განცხადებას აქვეყნებს ნაკრების მწვრთნელი გიორგი იანტბელიძეც.

„მოგესალმებით ყველას. დიდი გულისტკივილით მინდა გამოვეხმაურო სოციალურ ქსელში გავრცელებულ ფოტოს.

აღნიშნული ფოტო გადაღებულია დაღესტანში, 2018 წლის ევროპის ჩემპიონატზე, სადაც ორგანიზატორებმა გვთხოვეს ჩემპიონატის მაისურის ჩაცმა, რომელზეც გამოსახული იყო ჯაბო თედეევი. ეს მაისურები არის სუვენირი, რომელიც ყველა დიდი საერთაშორისო ტურნირის ატრიბუტია.

მსგავსი მაისურები იყო თბილისში კარტოზია-ბალავაძის ტურნირზე და რუსეთის ნაკრების თითქმის ყველა წევრი დადიოდა ვლადიმერ ხინჩეგაშვილის მაისურით. ეს პოლიტიკასთან არ არის არანაირ კავშირში. ჯამბულატ თედეევი ჩვენი მეგობარია. ის ყოველთვის და ყველგან ცდილობს, გვიქომაგოს და თუკი რაიმე პრობლემა დგება, ყოველთვის ცდილობს, იყოს ჩვენი ბიჭების მხარდამჭერი.

მაგრამ სამწუხარო ფაქტი ისაა, რომ ეს დაკავშირებულია პოლიტიკასთან. მით უმეტეს, ჩვენს მოუშუშებელ ტკივილთან, რუსეთის მიერ ოკუპირებულ სამაჩაბლოსთან.

მერწმუნეთ, ეს ყველაფერი არის დაუფიქრებლობის შედეგი და არა მიზანმიმართული ქმედება. ჩვენ, თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრები, ყოველთვის ვაფიქსირებთ ჩვენს ურყევ პოზიციას — ვგმობთ რუსეთის აგრესიულ ქმედებებს ჩვენი ქვეყნის მიმართ. განსაკუთრებით მძიმეა ეს ყველაფერი ომის 10 წლისთავზე. მაშინ, როცა განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას ვგრძნობთ ჩვენი, თქვენი თავისუფლებისთვის დაღუპული მებრძოლებისადმი.

თავის მართლებას არ ვაპირებთ. ბოდიშს ვიხდით დაუფიქრებელი ნაბიჯის გამო.

მეც და ჩვენი ნაკრების თითოეულ წევრს ისევე შესტკივა გული ჩვენს სამშობლოზე და დაკარგულ ტერიტორიებზე, როგორც ყველა ქართველს!“, — წერს იანტბელიძე.

კოგა კოგახიძე

◎ ფეხბურთი

ბრძოლამან შენმან

მიშელ კიტაბჯანისა და **ფრანც ვიორერის ნამამაძღალარის შემდეგ ძნელია მსაჯების უკუღმართობამ გაგვაკვირვოს, მაგრამ თურმე მათი „დიაპაზონი“ უსაზღვრო ყოფილა.**

შვეიცარიელ შაოსანთა ბრიგადაზე მოგახსენებთ, რომელმაც ალბანური „კუკეშისა“ და ქუთაისის „ტორპედოს“ საპასუხო საკვალიფიკაციო შეხვედრაში (ევროპის ლიგა) ძალ-ღონე არ დაიშურა, რომ მასპინძლებს სარევანშოდ სასურველი ანგარიშით დახმარებოდა, მაგრამ ჩვენი ქვეყნის მოქმედმა ჩემპიონმა ღირსეულად გაუძლო მეტოქისა და მის სატელიტ არბიტრთა წნეხს და პლეი-ოფში 23 და 30 აგვისტოს ბულგარულ „ლუდოგორეცს“ დაუპირისპირდება.

რაც შეეხება ელბასანის სტადიონზე განვითარებულ მოვლენებს, რეჯინალდომ დუბლი პენალტებით შეასრულა, სტუმრებს ორი გოლი არ ჩაუთვალეს და ძირითადი დრო მეტისმეტად გაიწელა.

საბედნიეროდ, კახა ჩხეტიანის გუნდს პირველ მატჩში შექმნილი მარაგი ორრაუნდიანი ბრძოლის მოსაგებად ეყო (5:2, 0:2) და ჯგუფური ტურნირის ზღურბლთანაა.

შეგახსენებთ, რომ პირველი თამაშის მსგავსად, სავიზო სკანდალს ვერც ამჯერად ავცდით, რის გამოც რიონისპირელთა ორი ლეგიონერი პარტნიორებს ვერ გაჰყვა. ვიმედოვნებთ, ეს ისტორია მომავალში გაკვეთილად გამოგვადგება.

გიორგი შოთაძე

◎ ხელბურთი

დღეს — ფარერებთან

თბილისის **ოლიმპიურ სასახლეში 18-წლამდელ ხელბურთლ ვაჟთა ევროპის ჩემპიონატზე ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურის შეხვედრები გაიმართა. საქართველოს ნაკრები ამ ტურში ისვენებდა.**

A ჯგუფი. ლიეტუვა-ლუქსემბურგი 29:34, მაკედონია-ესტონეთი 26:22, შვეიცარია-ფარერები 29:26.

მაკედონია — 10 (151:137), შვეიცარია — 8 (158:137), ლუქსემბურგი — 6 (147:136), ფარერები — 4 (146:135), ესტონეთი — 2 (112:142), ლიეტუვა — 0 (121:162) ქულა.

B ჯგუფი. ფინეთი-საბერძნეთი 30:22, ბელარუსი-იტალია 22:27.

იტალია — 8 (122:80), ბელარუსი — 4 (113:100), საქართველო — 3 (97:109), ფინეთი — 3 (91:114), საბერძნეთი — 2 (88:108) ქულა.

ნახევარფინალში A ჯგუფიდან მაკედონია და შვეიცარია, B ჯგუფიდან კი ბელარუსი და იტალია ითამაშებენ, ხოლო ფარერები, ლუქსემბურგი, საქართველო და ფინეთი შაბათ-კვირას მე-5 ადგლისთვის იბრძოლებენ. ჩვენს ჯგუფში ფინელებმა ბოლო ტურის შეხვედრაში ბერძნებს მოუგეს და მეხუთე ადგილზე დატოვეს. ფინეთმა და საქართველომ 3-3 ქულას მოუყარეს თავი. რადგანაც ამ გუნდების შეხვედრა ფრედ დასრულდა, ჯგუფში მესამე ადგილის ბედი ბურთების უკეთესმა სხვაობამ გადაწყვიტა. დღეს მე-5 ადგილისთვის პლეი-ოფის პირველ მატჩში საქართველოს ნაკრები ფარერების გუნდს დაუპირისპირდება.

დღევანდელ პირველ ორთაბრძოლაში ლიეტუვა და საბერძნეთი გაარკვევენ ერთმანეთთან ურთიერთობას. დამარცხებული ბოლო, მე-11 ადგილს დასჯერდება.

V-VIII ადგილებისთვის: ფარერები-საქართველო, ლუქსემბურგი-ფინეთი.

ნახევარფინალები: შვეიცარია-იტალია, მაკედონია-ბელარუსი.

19 აგვისტოს ფინალური შეხვედრები გაიმართება.

ლექსო ცინცაძე

◎ წყალბურთი

მინსკში გამგზავრებამდე

თბილისის **საწყლოსნო კომპლექს „ოლიმპიკის“ აუზში კვირას დამთავრდება წყალბურთში როსტომ და ზურაბ ჩაჩავების ტრადიციული მემორიალი, რომელშიც მთავარი პრიზისთვის საქართველოს, რუმინეთის, ჰოლანდიისა და რუსეთის 19-წლამდელ**

წყალბურთელ ვაჟთა ნაკრებები იბრძვიან. ეს გუნდები 19-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადებიან, ამ შეჯიბრებას კი 26 აგვისტოდან 2 სექტემბრის ჩათვლით ბელარუსის დედაქალაქი მინსკი უმასპინძლებს. კონტინენტის 16 საუკეთესო გუნდი ოთხ ჯგუფში გადანაწილდა.

A ჯგუფი: ესპანეთი, ხორვატეთი, თურქეთი, სლოვენია;

B ჯგუფი: ჩერნოგორია, ბელარუსი, რუმინეთი, საბერძნეთი;

C ჯგუფი: უნგრეთი, იტალია, საქართველო, საფრანგეთი;

D ჯგუფი: რუსეთი, სერბეთი, დიდი ბრიტანეთი, ჰოლანდია.

საქართველოს ნაკრები ამ ჩემპიონატისთვის გალაქტიონ ლაითაძის ხელმძღვანელობით დიდი ხანია ემზადება. ჩვენებმა ფინალურ რაუნდში მონაწილეობის უფლება შესარჩევ ჯგუფში მეორე ადგილის დაკავებით მოიპოვეს. ქართველმა წყალბურთელებმა გერმანიას (6:5) და მასპინძელ ბულგარეთს (15:4) აჯობეს, ხოლო ჰოლანდიას დაუზავდნენ (7:7), არადა, საფინალო სასტვენამდე 7 წუთით ადრე 6:3-ს იგებდნენ.

თბილისის ტურნირში მასპინძელთა ნაკრები ასეთი შემადგენლობით თამაშობს: გიორგი ბარაბაძე, დავით ცხაკაია, თორნიკე დიასამიძე, კახა სამყურაშვილი, სანდრო ადეიშვილი, ლევან ხოხაშვილი, გიორგი წულუკიანი (კაპიტანი), გურამ კუჭუაშვილი, ვალიკო დადვანი, თემურ ჭეიშვილი, ნიკა შუშიაშვილი, გიორგი ქათამაძე, ნიკოლოზ ქარჩავა, გიორგი გვეტაძე, ლუკა გიორგაძე, ლაშა ალავიძე.

„ევროპის ჩემპიონატზე ძლიერ ქვეჯგუფში მოვხვდით, — გვითხრა გალაქტიონ ლაითაძემ, — **უნგრეთში საწვრთნელი შეკრებისას იქაურ საკლუბო გუნდებთან გაგვიჭირდა თამაში და, წარმოიდგინეთ, ნაკრები როგორი ეყოლებათ. ტრადიციულად, ძლიერები არიან იტალიელები, ფრანგებს კი ერთი 16 წლის მოთამაშე — 190 სმ სიმაღლის ტომას ვერნოუქსი ბარსელონის ევროპის ჩემპიონატზე ეროვნულ გუნდში ჰყავდათ. ასეთ მეტოქეებთან გასამკლავებლად ინტენსიური მომზადება იყო აუცილებელი, მაგრამ, რაც შესარჩევი ტურნირიდან ჩამოვედით, მას შემდეგ კარგა ხანს ნორმალურად არც გვივარჯიშია, რადგან გუნდის წევრთა უმრავლესობას ჯერ სასკოლო, მერე ეროვნული გამოცდები ჰქონდა და აუზში მოსვლას ვერც ახერხებდა. გამოცდების შემდეგ თბილისში შევიკრიბეთ, ერთი კვირის წინათ კი რუმინეთის საერთაშორისო ტურნირზე მოვსინჯეთ ძალები. ხარვეზების მიუხედავად, ვეცდებით, ფინალურ ეტაპზე კარგად ვითამაშოთ და ქომაგები გავახაროთ“.**

ლაშა დიდია

თაღლითობა თუ დანაშაული?!

მძღოლები კატალიზატორებს პოლიეთილენის ბოთლებით ანაცვლებენ!

თბილისში ყოველდღიურად 500 ათასზე მეტი ავტომობილი გადაადგილდება და აქედან 50%-ზე მეტი ძალიან მძიმე მდგომარეობაშია. კერძო ტრანსპორტს რომ თავი დავანებოთ, ნორმალური მდგომარეობა არც სახელმწიფო სტრუქტურებშია. მაგალითად, აღმოჩნდა, რომ თბილისის მერიის კუთვნილი 42 ერთეული სატრანსპორტო საშუალება მინიმალურადაც არ აკმაყოფილებს ტექნიკურ მოთხოვნებს, რის გამოც მათი ექსპლუატაციიდან ამოღება მალე უნდა მოხდეს!

„მიმდინარე წლის 1 ივლისიდან სახელმწიფო და მუნიციპალური ავტოსატრანსპორტო საშუალებები სავალდებულო ტექნიკურ ინსპექტირებას ექვემდებარება. ამ ეტაპისთვის მერიის კუთვნილი 42 ერთეული სატრანსპორტო საშუალება მინიმალურ ტექნიკურ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს და მინდა დაგავალოთ, რომ ეს ავტომობილები ამოიღოთ ხმარებიდან, რადგან სწორედ ასეთი ავტომობილები აბინძურებენ გარემოს.

არ ვეთანხმები იმას, რომ მხოლოდ ყვითელი ავტობუსები ქმნის პრობლემას, ეს არის მხოლოდ ნაწილი იმ პრობლემისა, რაც ეკოლოგიური თვალსაზრისით გვაქვს. მსუბუქი მანქანებიც ქმნიან სერიოზულ პრობლემას. თბილისში 500 ათასზე მეტი ავტომობილი გადაადგილდება, რომელთაგან 50%-ზე მეტი ძალიან მძიმე მდგომარეობაშია და მგონია, რომ ტექნიკური ინსპექტირება ამ თვალსაზრისით არსებული მძიმე მდგომარეობის გამოსწორებას, გარკვეულწილად, ხელს შეუწყობს“, — აღნიშნა თბილისის მერმა კახა კალაძემ.

მთავრობაში კი ეიმედებათ, რომ ტექდათვალიერება ყველაფერს მოაგვარებს, მაგრამ რეალობაში ეს ასე სულაც არ არის. მძღოლებმა უკვე გამოძებნეს გზები შემოწმების მარტივად გასავლელად და ეს ჯერ მხოლოდ დასაწყისია. სამომავლოდ მანიპულაციები კიდევ უფრო დაიხვეწება. ავტომობილების ინსპექტირების ორგანოების ასოციაციის თავმჯდომარე ვაჟა იორდანიშვილი ამბობს, რომ კონკრეტული ფაქტებიც არსებობს და ვიდეომასალაც, როცა ავტოსატრანსპორტო საშუალება ინსპექტირების ცენტრში ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს — მისი გამონაბოლქვის კოეფიციენტი რამდენჯერმე აჭარბებს დასაშვებ ნორმას. შემდეგ იგივე სატრანსპორტო საშუალება რამდენიმე საათში კვლავ შემოდის ცენტრში და იმავე გამზომ ხელსაწყოზე შემოწმებისას პარამეტრები უკვე ნორმაშია.

